სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

1980 | 28 ნოემბერი, პარასკევი
№ 48 (2225).
გამოცემის 49-ე წელი

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი რესპუბლიკის ყველა კომუნისტისა და მშრომელისადმი საქართველოს კომპარტიის მომავალ XXVI ყრილობასთან დაკავშირებით

ძვირფასო ამხანაგებო!

ლენინური პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი ეგებებიან უდიდეს ისტორიულ მოვლენას — სკკპ XXVI ყრილობას. ორი თვეღა დარჩა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამდე. ხვდებიან რა თავიანთ ყრილობას, საქართველოს კომუნისტები განუხრელად ხელმძღვანელობენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საპროგრამო მითითებებით, რომლებიც მან ჩამოაყალიბა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში, მკაფიოდ რომ განსაზღვრავს პარტიის ამოცანებს თანამედროვე ეტაპზე, ამახვილებს ყურადღებას ახლანდელი განვითარების უმთავრეს საკვანძო მომენტებზე.

ლენინური პარტია თავის სტრატეგიასა და ტაქტიკას ამუშავებს საზოგადოების განვითარების მოთხოვნილებების, საბჭოთა ადამიანების საჭიროებების, მოთხოვნებისა და სურვილების ზუსტი გათვალისწინების საფუძველზე, მშრომელთა ფართო მასების შემოქმედების მტკიცე საძირკველზე.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინს არაერთგზის აღუნიშნავს ხაზგასმით საზოგადოებრივი აზრისადმი მიმართვის არა მარტო დემოკრატიული, არამედ აგრეთვე მმართველობითი მნიშვნელობა. იგი გულისხმობდა, რომ პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს მხოლოდ ამ პირობის დაცვისას „შეეძლება ნამდვილად იცოდეს პარტიის წევრთა მთელი მასის შეგნებული აზრი და, მაშასადამე, შეეძლება უხელმძღვანელოს არა ბრმად, არამედ მასის მიერ საკითხის სრულ შეგნებაზე დაყრდნობით".

ახლა, როცა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის სამზადისის გადამწყვეტი ფაზა დადგა, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკების, მეცნიერების, სპეციალისტების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეების სპეციალური ჯგუფები მუშაობენ წინადადებებსა და რეკომენდაციებზე, რომელთა საფუძველზე საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა შეიმუშავებს საქართველოს სსრ სოციალურ-პოლიტიკური ეკონომიკური და კულტურული პროგრესის კომპლექსურ პროგრამას მეთერთმეტე ხუთწლედისათვის. და ჩვენც ყოველმხრივ შემოწმებული, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა მხოლოდ იმ შემთხვევაში გვექნება, თუ მასში კონკრეტულად აისახება რესპუბლიკის მოსახლეობის, მისი ყველა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი და ინტერესები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც კარგად ესმის ეს და განაგრძობს პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მშრომელთა ფართო მასებთან მუდმივი მოთათბირების სასიკეთო ტრადიციას, რესპუბლიკის ყველა მშრომელს, კომუნისტებსა და უპარტიოებს მოგმართავთ თხოვნით გამოთქვათ თქვენი სურვილები, გაამდიდროთ კონკრეტული, საქმიანი წინადადებებით ერთობლივი მუშაობის პროგრამა. დაე, საბჭოთა საქართველოს ყოველი მოქალაქე, რომლის სიცოცხლე განუყოფელია პარტიისა და ხალხის სიცოცხლის მაჯისცემისაგან, რომელიც ღვიძლად არის დაინტერესებული თავისი რესპუბლიკის შემდგომი პროგრესით, — ამ პროგრამის თანაავტორი გახდეს.

ეკონომიკა მთავარი პოლიტიკაა, როგორც ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა. უკანასკნელი წლების მანძილზე პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიაში მკვეთრად გამოიკვეთა ღრმა შემობრუნება იმ მრავალფეროვანი ამოცანების გადაწყვეტისაკენ, რომლებიც ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული.

როგორ წყვეტს პრაქტიკულად შემდგომ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებულ საკითხებს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია; რამდენად გეგმაზომიერად და ეფექტიანად იხვეწება სახელმწიფო მმართველობის მექანიზმი, გაძლიერდა თუ არა პარტიული ორგანიზაციების გავლენა ცხოვრების ყველა მხარეზე; რა საკითხებს, რა პრობლემებს უნდა მივაპყროთ, თქვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება მომავალ ხუთწლედში?

მეათე ხუთწლედის მანძილზე დიდი პოზიტიური სოციალური გარდაქმნები მოხდა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. რამდენად უნარიანად წარვმართავთ ჩვენ მიმდინარე საკითხებს; როგორ წყდება ჩვენში ქალაქისა და სოფლის სოციალური პრობლემები; რამდენად ეფექტიანად ვწყვეტთ ვაჭრობისა და ყოფა-ცხოვრების, მოსახლეობის კომუნალური, სამედიცინო, კულტურული მომსახურების გაუმჯობესების საკითხებს?

როგორ გგონიათ, ამ მუშაობის რა ფორმები და მეთოდებია წასახალისებელ-გასავრცელებელი, რას უნდა ვერიდოთ მეთერთმეტე ხუთწლედში?

პარტია თავისი საქმიანობის ქვაკუთხედად მუდამ აყენებს სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარების, შინაპარტიული დემოკრატიის სრულყოფის საკითხებს. ისინი ფართო კონტექსტით მოიცავენ ისეთ პრობლემებს, როგორიც არის მოსახლეობის უზრუნველყოფა სრული, უტყუარი ინფორმაციით, კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომი განვითარება, სახელმწიფო ორგანოების საქმიანობისადმი საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერება, პროფესიული კავშირების, კომკავშირის, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის გაზრდა მართვაში; ჩვენი ორგანოების მუშაობაში ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების, ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება.

დემოკრატიის განვითარების პრობლემებს განუყრელად უკავშირდება საზოგადოების მართვა-გამგეობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის, შეგნებული დისციპლინის, წესრიგის განმტკიცების, ორგანიზებულობის უზრუნველყოფის საკითხები, შეურიგებელი ბრძოლა ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების, საბჭოთა ცხოვრების წესის ანტიპოდების წინააღმდეგ.

როგორ წყდება ყველა ეს საკითხი თქვენს კოლექტივებში, რამდენად ეფექტიანად მუშაობენ ამ მიმართულებით პარტიული ორგანიზაციები, სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო, რაიონული და საქალაქო საბჭოები, რა გიშლით ხელს მუშაობაში, კონკრეტულად რა მიგაჩნიათ იმ ღონისძიებებად, რომლებიც დაგვეხმარება ჩვენი სინამდვილიდან ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრაში, ნეგატიური მოვლენების საბოლოო აღკვეთაში?

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს აინტერესებს, როგორ ეკიდებით თქვენ, როგორ აფასებთ უშუალოდ მის საქმიანობას ყველა მიმართულებით, რა გზებს შემოგვთავაზებთ მუშაობის სრულყოფისათვის. ჩვენ ღვიძლად ვართ დაინტერესებული იმით, რომ უკეთ ვიცოდეთ, მუშაობის რა ახალი ფორმები და მეთოდები ჩნდება პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, შრომით კოლექტივებში, რა გამოცდილებაა შეძენილი, როგორ წყვეტს თითოეული მშრომელი თავის სამუშაო ადგილზე საჭირბოროტო საკითხებს, რა ეხმარება მას ახლის შენებაში და რა უშლის ხელს მუშაობასა თუ ყოფა-ცხოვრებაში.

ცხოვრება ყოველდღე, ყოველ საათს წარმოშობს ბევრ სხვა საკითხსა და პრობლემას. ცენტრალური კომიტეტისათვის მათი გაზიარებით მშრომელები, კომუნისტები და უპარტიოები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საწარმოო ბრიგადებისა და რგოლების კოლექტივები უდიდეს სარგებლობას მოუტანდნენ საქმეს.

ყოველივე ეს სწორუპოვარ წვლილს შემატებდა რესპუბლიკის კომუნისტთა ფორუმის მუშაობას, გადააქცევდა ჩვენი საერთო საბრძოლო მზადყოფნის დათვალიერებას — საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას ჭეშმარიტად საყოველთაო სახალხო აზრის, მძლავრი კოლექტიური გონებისა და გამოცდილების გამოხატულებად.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი**

## ჯილდო — მეგობრებს

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი

#### ამხ. ს. ბ. კაპუტიკიანისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სომხურ და ქართულ ლიტერატურათა ურთიერთობის განმტკიცება-გაღრმავებაში გაწეული ღვაწლისათვის ამხ. სილვა ბარუნაქის ასულ კაპუტიკიანს მიენიჭოს „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი. 1980 წლის 26 ნოემბერი.

#### ამხ. ვ. ბ. ფანარჯიანისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სომხეთისა და საქართველოს მეცნიერთა შორის ურთიერთობის განმტკიცება-გაღრმავებაში გაწეული ღვაწლისათვის სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ამხ. ვიქტორ ბართლომეს ძე ფანარჯიანს მიენიჭოს „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი. 1980 წლის 26 ნოემბერი.

#### ამხ. მ. მ. მკრტჩიანისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოსა და სომხეთის თეატრალური ხელოვნებისა და კინოხელოვნების ურთიერთობის განმტკიცებაში გაწეული ღვაწლისათვის სომხეთის სსრ სახალხო არტისტს, სომხეთის გ. სუნდუკიანის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის არტისტს ამხ. მჰერ მუშეღის ძე მკრტჩიანს მიენიჭოს „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის" საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი. 1980 წლის 26 ნოემბერი.

#### ამხ. ე. გ. კეოსაიანისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სომხეთისა და საქართველოს კინოხელოვნების მოღვაწეთა ურთიერთობის განმტკიცებაში გაწეული ღვაწლისათვის ამხ. ედმონდ გარეგინის ძე კეოსაიანს მიენიჭოს „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი. 1980 წლის 26 ნოემბერი.



## საბჭოთა სომხეთი 60 წლისაა

ამ დღეებში მოძმე სომხეთი ზეიმობს დიდ მოვლენას — საბჭოთა სომხეთის 60 წლისთავს.

ქართული მწერლობა სულითა და გულით მიესალმება სომეხ მეგობრებს, მთელ სომეხ ხალხს, უსურვებს დიდ წარმატებებს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი ამაღლების საქმეში.

გთავაზობთ მოძმე რესპუბლიკისადმი მიძღვნილ მასალებს, რომელიც მოგვაწოდა სომხეთის მწერალთა გაზეთის „გრაკან თერთის" რედაქციამ.

## დიად მიღწევათა გზა

ხალხია მადლი მიწისა... სომეხი ხალხის სამიათასწლიანი ისტორია, მისი ცხოვრების გმირული და ტრაგიკული ფურცლები, ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა.

საუკუნეებმა ქარიშხალივით გადაუქროლეს სომხეთს, დამპყრობელთა ურდოები სპობდნენ კულტურულ ცენტრებს, სისხლიდან ხცლიდნენ ერს. და თუმცა, მიუხედავად ამისა, სომეხმა ხალხმა შესძლო შეენარჩუნებინა თავისი თვითმყოფადობა, დამოკლეს მახვილი მაინც აღმართული იყო მთელი მისი ისტორიის მანძილზე. ქვეყანა თითქმის უფსკრულის პირას იყო მიმდგარი, სომხეთისგან დარჩა მარტოოდენ მცირე ნაწილი თითქმის უკაცური ტერიტორიისა. და სწორედ მაშინ გაისმა დიდი ლენინის მოწოდება — რადაც არ უნდა დამჯდარიყო, გადაერჩინათ სომხეთი, დახმარებოდნენ ყველაფრით, რითაც კი შეეძლოთ იმხანად დახმარება საბჭოელ ხალხებს — მოძმე ხალხებს.

ო, რამდენი ითქვა და დაიწერა მშრომელი სომხეთის სილატაკეზე! ბევრი მწერლის თაოსნობით ჟანრიც კი შეიქმნა — ღატაკთა მატიანე. ამ ლიტერატურის ნაწარმოებებში ასახული ცხოვრების ულმობელ სიმართლეს შეუძრწუნებლად ვერ აღიქვამთ. ყოველ შემთხვევაში, როდესაც დღეს კითხულობთ იმ ფურცლებს, გინდათ წიგნს მოსწყვიტოთ თვალი და მზერა გადაიტანოთ უძირო ზეცის სილაჟვარდეში, ბაღებით დაფარულ მთათა ფერდობებზე, გინდათ შეხედოთ გაჩახჩახებულ ქალაქს, შეხვიდეთ სომხურ ოჯახში და დანაოჭებულ ხელზე ეამბოროთ მოხუც ბებიას — ერთ-ერთ იმათგანს, ვინც იხსნა ობლები გენოციდის საშინელებისაგან. გინდათ თასი ასწიოთ და მადლიერებით მოიხსენიოთ ის დალოცვილი დღე, როდესაც მოსკოვში, ლენინთან აფრინეს ცნობა, რომ სომეხი ხალხი თავისუფალია, სომხეთი გადარჩენილია. ეს მოხდა 1920 წლის ნოემბერში. იმ დროიდან დაიწყო უძველესი მიწისა და მისი ხალხის აღორძინება.

მე ჯერ კიდევ დედის კალთას ვიყავ ჩაბღაუჭებული, როდესაც სოფლის ეზოში შემოვიდა მხედარი, თავზე წითელვარსკვლავიანი ბუდიონოვკა ეხურა და ცხენი ბოძზე მიაბა ჩვენს ძველ სახლს, რომელსაც ნანგრევები უფრო ეთქმოდა. მე წითელვარსკვლავიან სომხეთში ვიზრდებოდი, ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე, ყველაფერი მახსოვს. მახსოვს მთელი გზა, ჩემმა ხალხმა რომ განვლო მას მერე.

ერთბაშად როდი წამოდგა ფეხზე ჩემი რესპუბლიკა. მაშინ ის ჯერ კიდევ ფეხშიშველა და სისხლშეუმშრალი იყო. ფეხშიშველა იყო ჩვენი ბავშვობაც. მაგრამ მშობლიურ სოფელს შაახს, მთის მწვანე ფერდობებს უკვე დაჰნათოდა ახალი ცხოვრების მზე. მე და ჩემი ტოლები მხიარულად მივერეკებოდით ბატკნებს საბალახოზე. მშივრები ვიყავით, მაგრამ უდარდელნი და ბედნიერნი, იმიტომ რომ გვწამდა: ჩვენს თაობას არაჩვეულებრივი საქმეები ელის. სიხარულით ვეგებებოდით ცხოვრების ყოველ სიახლეს. აი, აჭრჭიალდა ყანები, აი, სოფლებში წამოიმართა ახალი სახლები, გაიხსნა ახალი სკოლები... სოფლის პიონერთა რაზმის დაფდაფების ხმა ერთვოდა შირაქის არხის წყლის ხმას და პირველი საკოლმეურნეო ტრაქტორების გუგუნს. დღითიდღე იცვლებოდა სომხეთი, მასთან ერთად ვიცვლებოდით ჩვენც, ვცდილობდით დროს არ ჩამორჩენოდით. ახალი ცხოვრების ხმა წინ გვიხმობდა, თვალწინ გვიშლიდა მთელი ჩვენი ძლიერი საბჭოთა სამშობლოს სივრცეებს. ჩვენ თავდაუზოგავად ვსწავლობდით, ვმუშაობდით. რომანტიზმით გულანთებულები გადავეშვით ახალ ცხოვრებაში!

რაღა თქმა უნდა, სიძნელეებიც გვქონდა, თან არცთუ მცირე. რევოლუციის ბავშვთა თაობამ მთელს ჩვენს ქვეყანასთან ერთად გადაიტანა მისი სიხარულიც და წუხილიც. მამებთან ერთად მივდიოდით დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. რამდენი ჩემი ტოლი თანამემამულე დაეცა ბრძოლის ველზე! რამდენს აღარ ეღირსა ენახა, თუ როგორი გახდა სომხეთის მიწა-წყალი! ვუცქერი დღევანდელ სომხეთს და ვფიქრობ: აი, საუკეთესო ძეგლი იმათთვის, ვინც ჩვენს ხსოვნაში მარად ახალგაზრდა დარჩა!

ქვეყანა — ჩვენ, ჩვენ — ქვეყანას... ასეთი გახლდათ კავშირი ჩვენი თაობისა ჩვენს თანატოლ რესპუბლიკასთან. დღეს კი მგონია, რომ ცოტა არ იყოს შეიცვალა ეს ასაკობრივი თანაფარდობა: ჩვენ უკვე გავჭაღარავდით, ბევრიც გამოგვაკლდა, რესპუბლიკა კი რაც უფრო მეტი ხნისაა, მით უფრო ახალგაზრდავდება, რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო ძლიერდება და მშვენიერდება... ჰოდა რაო — ვინაღვლოთ? არამც და არამც! სწორედ რესპუბლიკის სიახალგაზრდავეა, შთაგონებითა და ძალით რომ გვავსებს. ჩვენ, კვლავინდებურად, ახალგაზრდანი ვრჩებით გულითა და სულით, აზრითა და რწმენით. განა ეს არ არის ჭეშმარიტი ბედნიერება ადამიანისა!

...როდესაც შედიხარ დიდ მრავალეროვნულ სახელმწიფოში, სადაც არიან მცირერიცხოვანი ერებიც და ისეთებიც, ათობით მილიონ ადამიანს რომ შეიცავს, ხედავ, რა საუცხოოა, როდესაც ბევრნი ვართ და ყველანი სხვადასხვანაირნი ვართ, ყველანი თანასწორნი ვართ და თითოეულს რაღაც ჩვენი შეგვაქვს საერთოში. სამშობლო დედაა, ვინაიდან ჩვენ ყველანი მისი თანასწორუფლებიანი და თანაბრად საყვარელი შვილები ვართ. როდესაც სომეხი ბაბუკები სიცოცხლეს სწირავდნენ ბელორუსიის, უკრაინის თუ რუსეთის მიწას, ისინი სომხეთის მიწასაც იცავდნენ. საბჭოთა ადამიანმა ფაშისტთა ურდოები შეაჩერა კავკასიასთან, ნოვოროსიისკთან, სტალინგრადში. განა ამის დავიწყება შეიძლება?

მეგობრობის ძლიერი ძალის მადლია, დღეს რომ მტკიცედ და გულდაჯერებით დადის სომეხი კაცი მიწაზე. მას ზურგს უკან ეგულება საბჭოეთის თვალუწვდენელი სივრცე, მან იცის, რომ საზღვარზე დგანან საბჭოეთის მამაცი დამცველები, იგი ხედავს, სამშობლოს ყოველი კუთხიდან როგორ მოემართება სომხეთისაკენ ახალმშენებლობებისათვის საჭირო მასალა. სომხეთს უკვე აქვს ელექტროსადგურები, მათ შორის ატომურიც, აქვს მსხვილი სამრეწველო ცენტრები, ახალი ქალაქები, ყოფილ ქვაღორღიან მიწაზე გადაშლილი ახალი საბჭოთა მეურნეობები. არფა-სევანის გვირაბი გადაარჩენს ზღაპრულ ტბას, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია სომხეთს პირველ ხანებში ელექტროენერგიისა და მინდვრების მორწყვის საქმეში. ახლა უკვე ათობით საზღვარგარეთელი ქვეყანა ყიდულობს სომხეთის მშრომელთა ხელით ნაკეთებ გამომთვლელ მანქანებს, ტრანსფორმატორებსა და დაზგებს, საათებსა და ფეხსაცმელს, ტაშით ხვდებიან ერევნელ მსახიობებს და „არარატის" ფეხბურთელებს. ახლა სომეხი კი აღარ მიემგზავრება შორეულ ქალაქებში სასწავლებლად, — მის ცამეტ უმაღლეს სასწავლებელში საზღვარგარეთიდან ჩამოდიან ცოდნის მისაღებად. ყოველ ათას კაც მოსახლეზე სტუდენტთა რიცხვით საბჭოთა სომხეთმა გაუსწრო ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა საფრანგეთი, ინგლისი, იტალია... ეს ყოველივე გახლავთ ძლიერი ძალა მოძმე ხალხთა მეგობრობისა.

ჭეშმარიტად ბედნიერია სომეხი ხალხი, რომელიც შევიდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა მძლავრ კავშირში.

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მიესალმნენ პროგრესული სომეხი მწერლები. მსოფლიოს ყოველი კუთხიდან დაბრუნდა ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი, რათა მთელ ხალხთან ერთად წარსულის ნანგრევებზე აეშენოს ახალი ქვეყანა. ხალხმა მოიწმინდა სევდისა და ტკივილის ცრემლი, გადააგდო ყარიბის ხელჯოხი და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ააშენა სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის თვალწარმტაცი შენობა. რა ვუყოთ, თუ ეს შენობა ზომით პატარაა — სამაგიეროდ უსასრულოდ ძვირფასია თავისი განახლებული სახით, თავისი მთიანი გზებით, ხელოვნური ტბებითა და წყალსაცავებით, თავისი ბაღებითა და ქვის სახლებიანი დაბა-სოფლებით, თავისი მძლავრი მშენებლობებით, ინსტიტუტებით, მსოფლიოში ცნობილი სამეცნიერო ცენტრებით.

მწერალმაც თავისი ჩანგის სევდიანი ჰანგები სასიხარულოთი შესცვალა, ვინაიდან მისი შთაგონების წყაროა არა მოთქმა-გოდება, არამედ ცხოვრება, რომელიც აღსავსეა მშვიდობიანი შრომის შეროიკით, ტალანტით, ჭკუით და დიდებული სამომავლო გეგმებით.

**ჰრაჩია ოვანესიანი,**
პოეტი, რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მოღვაწე, გაზეთ „გრაკან თერთის" მთავარი რედაქტორი, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

საქართველოს არქიტექტორთა ყრილობის შესახვედრად



სასტუმრო ბახმაროში. არქიტექტორები ვ. ხმალაძე, გ. ხარაჯიშვილი.



სასტუმრო ქუთაისში, არქიტექტორები გ. მეტრეველი, ბ. სუმბაძე, ნ. გვასალია, ი. მერკვილიშვილი.

# ჩვენი არქიტექტურის ხუთი წელი

ვახტანგ დავითაია

ხუთ წელზე მეტმა განვლო არქიტექტორთა წინა ყრილობიდან. ამ ხნის მანძილზე ქართული ხუროთმოძღვრება განუხრელად მიჰყვებოდა რესპუბლიკის განვითარების მაღალ ტემპებს და თავისი წვლილი შეჰქონდა ჩვენი ხალხის მატერიალურ და კულტურულ აღმავლობაში.

განვლილი პერიოდის უმნიშვნელოვანეს არქიტექტურულ მოვლენათა შორის უნდა აღინიშნოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს ჩამოყალიბება. სამმართველოს უდიდესი ეროვნული და კულტურული მისია დაეკისრა და სასიამოვნოა, რომ ეს ორგანიზაცია მიზანდასახულად, დღითიდღე იკრებს ძალას.

ბარათაშვილის ქუჩამ (არქიტექტორი შ. ყავლაშვილი) და დარეჯანის სასახლემ (არქიტექტორები ვ. ორბელაძე და გ. ჯაფარიძე) მკვდარი წერტილიდან დასძრა ქალაქის ძველი უბნების რეკონსტრუქცია-რეგენერაციის სამუშაოები, ახალი იმპულსი მიეცა ამ საქმეს. ხოლო წლევანდელმა წარმატებებმა, ჩუღურეთის აღმართის მიმდებარე ტერასის (არქ. შ. ყავლაშვილი), შარდენის ქუჩისა (არქ. გ. ბათიაშვილი), მეტეხისა და ღვინის აღმართების (არქ. ვ. ორბელაძე, გ. ჯაფარიძე) რეკონსტრუქცია-რეგენერაციამ დაგვანახა, რომ ამ საქმის მნიშვნელობა დიდად სცილდება არქიტექტურულ პრობლემათა არეებს და საერთოსახალხო ინტერესების სფეროში ექცევა. ამ ფაქტმა ისიც დაგვანახა, თუ რა დიდი ძალაა ხუროთმოძღვარი ადამიანთა რწმენის, კეთილი საწყისების ამაღლებაში.

ოპერისა და ბალეტის თეატრის რეკონსტრუქცია-აღდგენა კარგი მაგალითია ხუროთმოძღვრული ტაქტისა და მემკვიდრეობისადმი პატივისცემისა. არქიტექტორებმა ლ. მეძმარიაშვილმა და მ. ჩაჩანიძემ (კონსტრუქტორი ჯ. ბოკერია) შენობის საერთო არქიტექტურული „ტონისა“ და განწყობილების შენარჩუნებით მიაღწიეს საოპერო თეატრის უახლეს ტექნოლოგიას, რაც მათი და მთელი საპროექტო ინსტიტუტის („საქქალაქმშენსახპროექტი“) უდავო გამარჯვებაა.

ფაქტი ამ ობიექტების ასეთი მა- [illegible]

ლაქისათვის — უაღრესად საინტერესო სივრცობრივი ელემენტი (ავტორები — არქიტექტორები ა. და გ. ქურდიანები, კონსტრუქტორი შ. გაზაშვილი).

ტურისტული სასტუმრო ვაკეში კარგად ავლენს რელიეფის თავისებურებას, ხოლო არქიტექტურული თემა — შენობის ფუნქციურ არსს (ავტორი არქიტექტორი თ. ფანიაშვილი, კონსტრუქტორები: კ. ტაბატაძე, გ. გაბელაია). ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ მისი ავტორი გახლავთ ხუროთმოძღვარი ქალი. არქიტექტურით მიღებულ შთაბეჭდილებას და ემოციებს გარკვეულწილად დაბლა სწევს ტერიტორიის მხატვრული გაფორმება, მიუსადაგებელი და საერთო განწყობილებიდან ამოვარდნილი მოზაიკური პანო და აუზი, სტენდები, შესასვლელი და სხვა.

„ლიტერატურნაია გაზეტამ“ თავის დროზე ყურადღება მიაპყრო იმ საექსპლოატაციო უხერხულობებს, რასაც ქმნის უნივერმაღ „თბილისში“ საინჟინრო მოწყობილობათა ტექნიკური გაუმართაობა. გარდა ამისა, ამ მასშტაბის სავაჭრო და სამაყურებლო (გრიბოედოვის სახელობის თეატრი) დაწესებულებების ისედაც გადატვირთულ რუსთაველის გამზირზე მოთავსების მცდარობა იმთავითვე არავისთვის არ უნდა ყოფილიყო საეჭვო. საქმე ისაა, რომ დღევანდელი ცხოვრების ხასიათი და ტემპი თითქმის გამორიცხავს ტრადიციულ — „საყიდლებზე წასვლას“. დღეს „საყიდლების“ პრობლემა უპირატესად წყდება გავლით, გზად. ამიტომაც სავაჭრო დაწესებულებების ავკარგიანობის სრულიად ბუნებრივ კრიტერიუმად მისი სატრანსპორტო საშუალებებთან მოხერხებული კავშირი და ავტოსადგომების რაციონალური ორგანიზაცია გვევლინება, ის ფაქტი, რომ უნივერმაღ „თბილისთან“ ერთი წუთითაც ვერ შეაჩერებთ მანქანას, არ შეიძლება არ მოქმედებდეს მის სავაჭრო პოტენციალზე. მაგრამ ჩვენი პათოსი შეეხება არა ამ უხერხუ- [illegible]

ლებმა, — შესაბამისად მათი ავტონომიის ზღურბლებმა, — ქვედა სართულიდან უნდა გადაინაცვლონ ზედა დონეებზე.

საგანგებოდ აღნიშვნის ღირსად მიმაჩნია საცხოვრებელი სახლების ჯგუფი მარცხენა სანაპიროზე ჩელუსკინელების ხიდთან (ავტორები — მ. გუგუნავა, შ. ყავლაშვილი, კონსტრუქტორი რ. ღუდუშაური). საცხოვრებელი სახლი მომავალშიც დარჩება ერთ-ერთ უპირველეს ქალაქმშენებლობით თემად. არქიტექტურის იმ მესვეურებმა, რომლებმაც ყურადღებისა და ზრუნვის საგნად გაიხადეს ბინათმშენებლობის არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ ესთეტიკური მხარეც, ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს თავიანთ ქალაქებს. სამწუხაროდ, ასეთი დამოკიდებულება ჩვენთვის დღესაც უცხოა და შედეგიც შესაბამისი. საცხოვრებელი სახლები ჩელუსკინელების ხიდთან თანამედროვეცაა და სამხრეთულიც, ისინი სტუმართმოყვარულია, ოპტიმისტური, თან ინდუსტრიული, ანაკრები. თუ დაინტერესდებით მათი ღირებულებით, ნახავთ, რომ მათი მშენებლობა უფრო ძვირი არ დასჯდომია სახელმწიფოს იმ უსახურ და უსიცოცხლო კუბებთან შედარებით, რომლებიც განლაგებულია საბურთალოსა და დიღმის მასივებში. მაშ, რა ყოფილა მთავარი? ავტორთა ოსტატობა და ტალანტი. ოსტატობა და ნიჭი უდიდესი საგანძურია, საერთო სახალხო ფასეულობაა და მათ განსაკუთრებული გულისყურით, სიფაქიზით სჭირდება ნდობაც და ყურადღებაც. ოსტატობა და ნიჭი, დიდ მატერიალურ ღირებულებასაც ქმნის და დიდ ეკონომიასაც აძლევს ქვეყანას — ნამდვილ, სახელმწიფოებრივ ეკონომიას და არა წუთიერ სიიაფეს. ჩვენი მასობრივი ბინათმშენებლობის დაბალი დონე ალბად იმითაცაა განპირობებული, რომ ეს საქმე ხუროთმოძღვართა გარკვეულმა ნაწილმა, რომელთაც შესწევდათ უნარი ამ მძიმე ტვირთის ზიდვისა, იგი მეორეხარისხოვან საქმედ მიიჩნიეს და ამით მექანიკურად გზა გაუხსნეს არქიტექტურულ ხელოსნობას და ხელოსნებს.

შარშან ჩვენმა დედაქალაქმა იზეიმა ჩვენი მეტრო-მშენებლობის ახალი წარმატებები. რიგში ჩადგა მეორე რიგის ხუთი ახალი სადგური. გადაუჭარბებლად შეიძლება ეს სადგურები ჩავთვალოთ ხუროთმოძღვრულ წარმატებადაც. თბილისის მეტროს ბოლო თაობას ახასიათებს ხაზგასმული ლაკონიურობა, სივრცობრიობა, მხატვრული ზომიერება.

განვლილი ხუთი წელი იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ საფუძველი დაედო მთის სოფლების განაშენიანების საქმეს. აშენდა 10 საცხოვრებელი სახლი გუდანში. მაგრამ რაც გაკეთდა, მხოლოდ მცირე ნაწილია იმ კეთილშობილური მიზნებისა, რასაც ითვალისწინებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებები. ზოგი ორგანიზაციის მიერ ამ დადგენილებებით გათვალისწინებული კონკრეტული საკითხების წლიდან წლამდე შეუსრულებლობამ გაანელა ის ენთუზიაზმი, რომელიც გამოიჩინეს ხუროთმოძღვრებმა დადგენილების შესასრულებლად და რომელსაც დიდი იმედით შეხვდა ადგილობრივი მოსახლეობა. ვინ იცის, პროექტის ერთ-ერთი ავტორის არქიტექტორ ირ. მარგიშვილის თავდადება (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) რომ არა, გაშენდებოდა კი გუდანში ეს 10 სახლი?! საეჭვოა. ეს კი ამაზე მეტყველებს, რომ წლები გადის და ვერ იქნა და ვერა, ეს საქმე ვერ ავიდა იმ სახელმწიფოებრივ სიმაღლემდე, რომელსაც ის იმსახურებს.

არქიტექტურულ კრიტიკას არქიტექტურული პროცესების განსჯაში არაოპერატიულობა რომ ვუსაყვედუროთ, ამაში მოულოდნელი არაფერია, მაგრამ გაუგებარია ის წაყრუება, რომელიც პერიოდულმა პრესამ თავის დროზე გამოიჩინა ერთ-ერთი საინტერესო მონუმენტის, სოფ. მარაბდაში აგებული ცხრა ძმა ხერხეულიძის ძეგლის მიმართ. თვით ძეგლის გახსნის ზეიმის რაიონული მასშტაბით რეგლამენტირებამ დიდად შეაფერხა მისი პოპულარიზაციის საქმე და მასში ჩაქსოვილი საინტერესო, თავისთავადი აზრის ფართო საზოგადოებამდე მიტანა (ავტორები — არქიტექტორები რ. კიკნაძე, შ. ყავლაშვილი, მოქანდაკე ლ. ქვლიძე).

სწორკუთხა გეგმაში ჩაწერილი 8 ბურჯით შექმნილი არქიტექტურულ-სივრცობრივი კომპოზიცია დომინირებს გარემოზე და შორიდანვე იპყრობს ყურადღებას. ქვემოთ გამავალ ტრასაზე გავლისას აღქმის კუთხეების ცვალებადობით ვლინდება სხვადასხვა ფორმის ღიობები და მონუმენტი ახალი მხატვრული კუთხით წარმოჩნდება. ძეგლს ახასიათებს შინაგანი, ტრაგიკული მდუმარება, რომელიც ასე ესადაგება ამ შეუდარებელი გმირობის ფაქტს. თუმცა მშენებლებმა მონუმენტის ბეტონში ჩამოსხმისას ვერ მიაღწიეს სასურველ ხარისხს და საჭირო შეიქმნა სიბრტყეების შელესვა, იქნებ სადავო იყოს სახვითი ხელოვნების ასეთი პრინციპითა და ასეთი დოზით შეჭრის ფსიქოლოგიური და ემოციური აუცილებლობაც, მაგრამ მაინც ცხრა ძმა ხერხეულიძის მონუმენტი ერთ-ერთი საინტერესო და ახლებურად გააზრებული ნაწარმოებია ქართულ მონუმენტურ ხელოვნებაში.

გასული ხუთი წელი კვლავაც ხასიათდებოდა საშუალო, ნეიტრალური პროექტებისა და შენობების სიჭარბით; „საშუალობა“ ისევ რჩებოდა ჩვენი არქიტექტურის „ძლევამოსილ“ ტენდენციად და ამიტომაც ამ რიგის შენობები იმდენია, მათი უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა.

არც დაბალი პროფესიულობის მაგალითები ყოფილა უცხო. „საქორწინო-სარიტუალო სახლი“ სოფელ თელეთში მაგალითია არქიტექტურული ხელოსნობისა. ობიექტი განთავსებულია თბილის-მარნეულის გზის მომიჯნავე ბორცვზე და დომინირებს გარემოზე, რაც კიდევ უფრო თვალში საცემს ხდის მის მრავალთემიანობას, მოცულობათა სტიქიურობასა და სტილურ სიჭრელეს.

ფოსტამტის შენობამ ქ. ზესტაფონში საოცარი დისონანსი შეიტანა მოედნის განაშენიანებაში, დაუკარგა ის ინტიმი და მასშტაბურობა, რომელსაც ქმნიდნენ თეატრის, სადგურისა და საცხოვრებელი სახლის შენობები. რომ არაფერი ვთქვათ შენობის ყოვლად უგვანო არქიტექტურულ სახეზე, სრულიად უმართებულოა მისი „თავისუფალი“ დასმა ტრადიციულ, პერიმეტრულად მოშენებულ სივრცობრივ სიტუაციაში.

თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის წიგნსაცავის კუბმა დაარღვია ამ რაიონის სივრცობრივი მასშტაბი და უსიამოვნო სიტლანქე შეიტანა ქალაქის სილუეტში.

ორგანიზაციულმა კუსტარულობამ, მომძლავრებულმა უწყებრივმა ინტერესებმა და იმან, რომ საქმეს არ აღმოაჩნდა ერთი პატრონი, გამოუსწორებელი კვალი დაამჩნია მთლიანად ბაკურიანის განაშენიანებას და ბუნების ეს სიკეთე ანტიარქიტექტურის გამოფენად აქცია.

სამწუხაროდ, მეტნაკლებად მსგავსი მაგალითები ცოტა როდია. იბადება სამართლიანი კითხვა: სად იყვნენ არქიტექტურული საბჭოები, ექსპერტები, ან როგორ „გაძვრნენ“ ეს პროექტები იმ ინსტანციებში, სადაც ისინი მტკიცდება.

არ არის აუცილებელი ობიექტის სიდიდე, რათა დავინახოთ რამდენად პროფესიულადაა გადაწყვეტილი ესა თუ ის არქიტექტურული ამოცანა. ასევე, არც ხუროთმოძღვრისათვის და არც დამამტკიცებელი ინსტანციებისათვის არ უნდა არსებობდეს დიდი და მცირე პრობლემა, რომელსაც „მეტი“ ან „ნაკლები“ ყურადღება და შრომა ჭირდება. შეიძლება ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მცირე არქიტექტურულმა ფორმამ გაცილებით მეტი უთხრას მნახველს ჩვენს გემოვნებასა და მხატვრულ კულტურაზე, ვიდრე ზოგიერთმა დიდმა ნაგებობამ.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. ამ რამდენი თვის წინათ რუსთაველის და წერეთლის გამზირებზე დაიდგა საქალაქო ტრანსპორტის გაჩერებისა და გადასასვლელის აღმნიშვნელი ნიშნები; მცირე ზომის, ყვითელ და ლურჯ ფერებში შეღებილი ლაკონიური, მე ვიტყოდი, ელეგანტური ფორმები კარგად ასრულებს თავის პირდაპირ ფუნქციას; ადვილად შესამჩნევია და ამავე დროს მხატვრული. მათ ფონზე გამზირის სხვა მცირე არქიტექტურული ფორმები, სარეკლამო ფარი თუ სტენდი, უაღრესად მოძველებულად გამოიყურება და განახლებას მოითხოვს.

აეროპორტის გზატკეცილის მარჯვენა მხარეს დაიდგა „კოსმონავტის“ ძეგლი (მოქანდაკე კ. ტაბატაძე). ეს სკულპტურული კომპოზიცია განსხვავებულია მოქანდაკის ჩვეული მანერისაგან. ფორმის განზოგადება, რომელსაც მოქანდაკემ მიმართა, სავსებით სწორია ამ კონკრეტულ სიტუაციაში — შორიდან და ისიც მაღალი სიჩქარით მოძრაობისას (ტრასიდან) აღქმისათვის როგორ უხამს მხარს ამ პოზიციას არქიტექტურა? რომ არაფერი ვთქვათ კვარცხლბეკის გაუმართლებელ სიჭრელეზე (ბოლნისის ტუფით მოპირკეთებაზე), სრულიად გაუგებარია აუზების ჩართვა საერთო კომპოზიციაში. ვისთვისაა ეს აუზები განკუთვნილი, ვინ მიდის მათთან, დასახლებიდან შორს, ჩქაროსნულ, ხმაურიან და მტვრიან ტრასაზე? ვის ანიჭებს ესთეტიკურ სიამოვნებას ცენტრალური აუზის ფერადოვანი დეკორატიული ძირი? ან რატომაა ასეთი ტლანქი და მაღალი ბორდიურები, — იმისათვის ხომ არა, რომ საერთოდ ვერ შეიგრძნოს ადამიანმა აუზების არსებობა? და, ბოლოს, გვაქვს თუ არა უფლება გვქონდეს უადგილო ადგილას სამი აუზი, როდესაც ქალაქისათვის ისინი უაღრესად დეფიციტური ელემენტია?

ე. წ. „მცირე არქიტექტურას“ ამჟამად ყურადღებას არ დავუთმობდით, ქალაქის კეთილმოწყობის ელემენტებისა და „მცირე არქიტექტურის“ გააზრებაში გაფორმებითი ტენდენციები რომ არ იგრძნობოდეს. ნაცვლად ფორმათა ძიებისა, მასალის, ფერის, მასშტაბის დიზაინური გააზრებისა, მათ რთულ სპეციფიკაში წვდომისა, მეტწილად ვხვდებით ნაჭარევ, ბანალურ ფორმებს, ზედაპირულ ორნამენტირებას. ქალაქის მცირე არქიტექტურაში ცრუეროვნული, გაფორმებითი ტენდენციების მომძლავრება მით უფრო მოულოდნელია, რადგან ჯერ კიდევ ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ რუსთაველის გამზირის ცალკეული კვანძების არქიტექტურული გააზრება (ავტორები. — ა. ბაქრაძე და ნ. ჯობაძე) მშვენიერი მაგალითი იყო მხატვრული ტაქტისა, ფაქიზი გემოვნებისა, და, რაც მთავარია, კარგი ნიმუში იმისა, თუ რა გზით უნდა წასულიყო ეს საქმე მომავალში.

●

ქართულ არქიტექტურას მრავალი სადღეისო პრობლემა აქვს, მაგრამ იმ პრობლემათა შორის, რომლებიც საჭიროებენ მიზანდასახული ღონისძიებების გატარებას, უპირველესად მიმაჩნია პროექტების შემოქმედებითი ხარისხის ამაღლებისა და ხუროთმოძღვართა მორალური და მატერიალური სტიმულირების საკითხები.

რაც არ უნდა დიდი იყოს მშენებელთა „წვლილი“ ჩვენი სოფლებისა და ქალაქების უსახურობაში, ამ უსახურობის პირველწყარო არქიტექტორები ვართ. რა თქმა უნდა, მიზეზი ბევრია, მაგრამ ამ მიზეზების მოშველიება კიდევ დიდი ხნით დააკანონებდა არსებულ მდგომარეობას. ერთი ცხადია — ეს უსახური პროექტები შევქმენით ჩვენ, ისინი გამოუშვეს ჩვენმა საპროექტოებმა, მათ გზა დაულოცეს არქიტექტურულმა საბჭოებმა. ჩვენ ხმამაღლა ვლაპარაკობთ მშენებლობის დაბალ ხარისხზე და არაფერს ვამბობთ ჩვენს უემოციო, უსულო, კომპრომისულ პროექტებზე, რომელთა უმრავლესობას მხოლოდ გარეგნულად შემორჩენია სიცოცხლის ნიშნები, სინამდვილეში ენერგიაგამოცლილი და სხვათა ნამცეცებითაა ნაკვები. ნურავინ იფიქრებს, რომ შესაძლებელია თავისი „შემოქმედებითი“ ცოდვების გადაბრალება მშენებლებზე. ასევე — შესრულების მაღალი ხარისხი, ძვირფასი მოპირკეთება, დახვეწილი ავეჯი. თუ ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით შესრულებული საინჟინრო მოწყობა ვერ დაფარავს არქიტექტურულ უმწეობას. მაღალმხატვრული არქიტექტურული ნაწარმოებისათვის, რა თქმა უნდა, აუცილებელია შესაბამისი სამშენებლო ხარისხი, მაგრამ, როდესაც ეს შესაბამისობა ირღვევა, ადვილი გასარკვევია, თუ ვის მიუძღვის ბრალი.

რა შეფასება შეიძლება მიეცეს ჩვენს საპროექტო საქმიანობას თანამედროვე ეტაპზე და რა ტენდენციები აღინიშნება მათში? პროექტთა დიდი უმრავლესობა „საშუალოს“ რანგს განეკუთვნება, ნაკეთებია და არა შექმნილი, ხელოსნურია და არა შემოქმედებითი. იმდენად გავრცელებულ, გატკეპნილ, მრავალჯერ გადამღერებულ არქიტექტურულ თემებსა და განწყობილებებს ემყარება, რომ ავტორს პლაგიატობასაც ვერ დაუმტკიცებთ. შედეგი — მხოლოდ უტილიტარული. არქიტექტურა ბრმებისთვის. ამ შენობებზე დახარჯული შრომა და მატერიალური სახსრები კი თავისთავსაც ვერ ანაზღაურებენ. მეორე რიგის პროექტები „პროფესიული“ პროექტების რიგს განეკუთვნებიან. მათ ვერაფერში ვერ შეედავებით, ყველაფერი „თავის ადგილზეა“, უკმარისობის გრძნობა კი აშკარაა. ქმნიან ორიგინალური ნაწარმოების გარკვეულ ილუზიას, მაგრამ გამოცდილ თვალს არ გამოეპარება მათი წარმომავლობა, მეორადობა. ისინი განაპირობებენ ქალაქის განაშენიანების ნეიტრალურ ფონს. არქიტექტურულ საქმეებს არც წინ სწევენ და არც უკან.

ამ ბოლო ხანს ხუროთმოძღვართა ერთ ნაწილში აშკარად იგრძნობა მისწრაფება აზროვნების დამოუკიდებლობისაკენ, ვლინდება ინდივიდუალობა, საკითხთა მასშტაბური დასმა და გადაწყვეტა, რეგიონალური ფაქტორების უფრო მეტი, უფრო სიღრმისეული წვდომა. არქიტექტურისადმი ასეთი დამოკიდებულება არაა საყოველთაო, მაგრამ ცალკეული გამონაკლისებიც ამ ტენდენციაზე მიგვანიშნებენ. მინდა აღვნიშნო ბავშვთა გამაჯანსაღებელ-აღმზრდელობითი კომპლექსის „მზიურის“ გენერალური გეგმის პროექტი (საავტორო კოლექტივი: არქიტექტორები — თ. აბულაძე, ლ. კილაძე, ირ. მასხარაშვილი, ბ. ჩიგოგიძე და ეკონომისტი თ. გუგუშვილი, საპროექტო ინსტიტუტი „საქქალაქმშენსახპროექტი“). პრობლემის ფართო სოციალურ ასპექტში დანახვამ, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის საკითხებში წვდომამ, არქიტექტურულმა ლოგიკამ და, რაც მთავარია, პროფესიისადმი უდიდესმა პატივისცემამ განაპირობეს „მზიურის“ მაღალი დონე. პროექტირების პირველ სტადიაში მიღწეულია წარმატება. თუ როგორ წარიმართება ამ დიდი, მრავალმხრივი პრობლემის შემდგომი ეტაპები და რეალიზაცია, ბევრადაა დამოკიდებული ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის მიზანდასახულ საქმიანობაზე.

საინტერესო აზრია ჩაქსოვილი ბახმაროს სამთო-ტურისტული კომპლექსის პროექტში (ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება), რომელმაც სრულიად სამართლიანად, ფართო არქიტექტურული საზოგადოების ყურადღება მიიპყრო (მთავარი არქიტექტორი და ავტორი მ. ჩხენკელი, ავტორები: ვ. დემეტრაძე, რ. ჯანაშია, ი. კვეთიაშვილი, გ. ხარაჯიშვილი, ვ. ხმალაძე, ინჟ. ეკონომისტი ლ. შანიძე, საპროექტო ინსტიტუტი „საქქალაქმშენსახპროექტი“). არქიტექტორებმა შექმნეს სოციალურად გამიზნული, მხატვრულად საინტერესო დასასვენებელი კომპლექსი.

პროექტირების საერთო ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ბრმა მინდობა „საერთაშორისო“ სტილისადმი, „ახალი არქიტექტურის“ პრინციპებისადმი და შედარებით პასიური ძიება რეგიონალური, ადგილობრივი საფუძვლებისა: „ახალმა არქიტექტურამ“ თავისი არსებობის 60 წლის მანძილზე უდიდესი გამოცდილება დააგროვა და საკაცობრიო კულტურა არა ერთი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ნაწარმოებით გაამდიდრა. მაგრამ ეს უდიდესი და სახარგებლო გამოცდილება დაკარგავს ფასს ჩვენთვის, თუ კი მას არ განვიხილავთ როგორც საიმედო და მყარ სამშენებლო მასალას ჩვენეული შენობის ასაგებად.

ადამიანები ძნელად ეგუებიან უმისამართო არქიტექტურას, რარიგ პროფესიული და დახვეწილიც არ უნდა იყოს იგი. ამდენად, ვლაპარაკობთ რა პროექტირების შემოქმედებითი ხარისხის მკვეთრად ამაღლების აუცილებლობაზე, იგულისხმება არა მხოლოდ პროფესიული დონის ამაღლება, არამედ არქიტექტურის მიმართულების, არქიტექტურის მსოფლმხედველობითი ასპექტები.

ახალი ქართული არქიტექტურა ვერასდროს ვერ შეიტანს თავის წვლილს დიდ საერთო საკაცობრიო კულტურაში (რასაც დღეს ასე წარმატებით აკეთებენ ქართველი ხელოვნების ცალკეული დარგები), თუკი მხოლოდ სხვათა მიღწევები იქნება ჩვენი ბაზისი და უფრო მიზანდასახულად და გაბედულად, უფრო გამიზნულად და ღრმად არ ჩავწვდებით საკუთარს, ჩვენი ყოფის, კლიმატური პირობებისა და სულიერი წყობის საფუძვლებს. „წვლილის შეტანა“ საერთო კულტურაში არ არის თვითმიზანი, — უპირველეს ყოვლისა, ესაა ზრუნვა ჩვენი არქიტექტურის სიდიადეზე, რადგან „საერთო-საკაცობრიო“ არა ეთნოგრაფიულის, არამედ მხატვრული აზრის სიდიადის, ნაწარმოების ხარისხობრივი მაჩვენებელია.

გამოფენები, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა საპროექტო ინსტიტუტისა და ავტორის ნამუშევრები, ყოველთვის ქმნიან საპროექტო საქმიანობის მეტ-ნაკლებად ობიექტურ სურათს. ფართო საზოგადოებას საშუალება ჰქონდა ენახა ახალგაზრდა არქიტექტორთა ნამუშევრების გამოფენა-დათვალიერება, რომელსაც ჩვეული გულთბილობით უმასპინძლა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ. ვერ ვიტყვით, რომ ახალგაზრდა არქიტექტორთა გამოფენა-დათვალიერებაზე წარმოდგენილი პროექტებიდან რომელიმემ მოგვანიჭა ნამდვილი სიხარული, სიხარული საინტერესო, თავისთავად არქიტექტურულ აზრთან შეხვედრისა. გამოფენაზე არც ეპიგონობისა და დილეტანტობის მაგალითი იყო ცოტა. ჟიურიმ ვერ გასცა პირველი ჯილდო და, რაც მთავარია, ვერ ვიხილეთ უკეთესი ხვალინდელი დღის ნიშნები. ამ გამოფენაზე რატომღაც კონკურსგარეშე იყო წარმოდგენილი ზემოთ აღნიშნული ბავშვთა გამაჯანსაღებელ-აღმზრდელობითი კომპლექსის „მზიურის“ გენერალური გეგმა.

ასევე უნდა აღვნიშნო მეორე გამოფენა, რომელიც მოეწყო ამ ზაფხულს ქ. ერევანში საზოგადოებრივი შენობების არქიტექტურისადმი მიძღვნილ საბჭოთა კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პლენუმთან დაკავშირებით. ამ გამოფენაზე ყველა რესპუბლიკამ და ჩვენი ქვეყნის მრავალმა საპროექტო ორგანიზაციამ წარმოადგინა უკანასკნელ წლებში შექმნილი პროექტები და განხორციელებული შენობები. არც ამ ვერნისაჟზე ყოფილა რაიმე აღმოჩენა. ბევრი პროექტი ნაცნობი იყო პერიოდული ჟურნალებიდან და შესაძლოა, საერთო შთაბეჭდილების ტონუსი ამანაც დასწია.

ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორ წარსდგა ქართული არქიტექტურა ამ გამოფენაზე. წარსდგა მკრთალად. წარდგენილი 15-მდე პროექტიდან მხოლოდ ერთმა მიიქცია სპეციალური რეფერენტურის ყურადღება. კვლავ (უკვე მერამდენეჯერ) ამ ათიოდე წლის წინათ შექმნილ რ. კიკნაძისა და გ. მეტრეველის „მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმზე“ ითქვა ბევრი კეთილი სიტყვა, ითქვა მის ადამიანურ მასშტაბზე, თავისთავადობაზე, ეროვნულობაზე. ვისმენდით ქების სიტყვებს და კვლავ სინანული გვეუფლებოდა მის უდროოდ წასულ ერთ-ერთ ავტორზე, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე აღიარებულ ხელოვანზე რ. კიკნაძეზე, რომელმაც ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად ისეთი საგრძნობი კვალი დატოვა, რომ იგი კვლავაც ქართული არქიტექტურის მწყობრშია და ღირსეულად იცავს ჩვენი არქიტექტურის ღირსებას.

ამ თავისებურ პრესტიჟის გამოფენაზე ქართული არქიტექტურის შეუმჩნეველი, ნეიტრალური „სტატუსი“, ჩემი ღრმა რწმენით, არა იმდენად ჩვენი საპროექტო საქმის ობიექტური მდგომარეობის ასახვაა, რამდენადაც რესპუბლიკის წამყვანი საპროექტო ინსტიტუტების ხელმძღვანელთა, უპირველეს ყოვლისა კი ამ ინსტიტუტების მთავარი არქიტექტორების უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ამ გამოფენისადმი.

მოსაგვარებელია არქიტექტორის შემოქმედებითი შრომის მატერიალური და მორალური სტიმულირების საკითხი. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ეს საკითხი არ არის აქტუალური, რადგანაც დღესდღეობით უმუშევარი არქიტექტორი არ არსებობს.

დღეს არქიტექტურა ერთადერთია შემოქმედებითი პროფესიებიდან, სადაც ხელოვანის შრომის ანაზღაურება ხდება რეგლამენტირებული „სამუშაო დღის“ ფარგლებში, საშტატო განაკვეთების წესით, და არა ჰონორარით.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს შრომით აქტივობას და შემოქმედებით პოტენციალს. იგი ვერ ანსხვავებს კეთილსინდისიერებას არაკეთილსინდისიერებისაგან, ოსტატს ხელოსნისაგან.

დროა გავერკვეთ იმაში, ვინ აძლევს ხელს ასეთი ნიველირება, ხომ არა სწევს დაბლა ეს არქიტექტორთა შრომით და შემოქმედებით აქტივობას, ხომ არ აფერხებს ყოველივე ეს ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ აღმავლობის ტემპებს და ბოლოს, ხომ არ არის ეს ჩვენი ქალაქებისა და სოფლების უსახურობის ერთ-ერთი მიზეზი?

ამ თემაზე საუბრით არც მე მოვცდებოდი და არც მკითხველს მოვაცდენდი, საპროექტო ორგანიზაციებში უკვე დღეს რომ არ იგრძნობოდეს მაღალკვალიფიციური, მოაზროვნე, ინდივიდუალური ხედვის არქიტექტორთა ნაკლებობა და მნიშვნელოვანი სირთულეები რომ არ იყოს შექმნილი ისეთი სპეციალობების მხრივაც, როგორიცაა კონსტრუქტორები, სხვადასხვა დარგის ინჟინრები, ტექნოლოგები, ხარჯთაღრიცხველები და სხვა.

უდავოა, საკითხი დაუყოვნებლივ მოგვარებას მოითხოვს, — რაც უფრო შორს გადაიწევს, მით უფრო მეტი სირთულეები წარმოიშობა. აქ რაიმე ობიექტურ წინააღმდეგობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, არც რაიმე დამატებითი მატერიალური სახსრებია საჭირო, არამედ საკითხისადმი ახალი, უფრო გონივრული დამოკიდებულება. კიდევ მეტი, არათუ ახალი დამოკიდებულებაა საჭირო, არამედ აღდგენა ძველისა, და მისი სრულყოფა დროისა და სიტუაციის შესაბამისად.

პროექტის ის სტადია, როდესაც ყალიბდება არქიტექტურული აზრი, იდეა, კონცეფცია ანუ ესკიზური პროექტის სტადია, უნდა ანაზღაურდეს ჰონორარის წესით. პროექტის მეორე, სამუშაო პროექტის სტადია, შესაძლებელია შესრულდეს აკორდული წესით — ყველა სპეციალისტისათვის. ანაზღაურების ასეთი წესი მოგვცემს ყოველი სპეციალისტის, მთლიანად საპროექტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობას, აამაღლებს პროფესიულ პასუხისმგებლობას, ვინაიდან ყოველი დაწუნებული პროექტი იქნება არა მხოლოდ „შემოქმედებითი წარუმატებლობა“, რომელსაც არავითარი მატერიალური ზიანი არ მოაქვს მისი ავტორისათვის (დღეს წარუმატებლობისათვისაც იძლევიან ხელფასს), არამედ იქნება „შემოქმედებითი წარუმატებლობა“, რომელსაც მოჰყვება შესაბამისი მატერიალური შედეგები. ეს წესი უსათუოდ დაამყარებს ბუნებრივ კანონზომიერებას და სწორ მიმართულებას პროფესიონალსა და არაპროფესიონალს შორის, ხელოსანსა და ხელოვანს შორის, ყველას ბუნებრივად მიუჩენს შესაბამის საქმეს უნარის მიხედვით და, რაც მთავარია, ხელს შეუწყობს შემოქმედებითი ინდივიდების წარმოჩენას, რაც ასე სჭირდება ყოველ საქმეს და მით უმეტეს, დღევანდელ ჩვენს არქიტექტურას.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს მორალურ სტიმულებს. და ამ თვალსაზრისითაც ბევრი რამ არის გადასახედი.

მოვიყვან უბრალო მაგალითს: შედიხართ საპროექტო ინსტიტუტების ვესტიბიულში და ათვალიერებთ „საპატიო დაფას“. რა ნიშნით ხვდებიან აქ ადამიანები? მხოლოდ და მხოლოდ საწარმოო, რაოდენობრივი, და არა ხარისხობრივი მაჩვენებლებით. მე არასდროს შემხვედრია ამ „დაფაზე“ ჩვენი გამოჩენილი ხუროთმოძღვრები, რომელთა ნამუშევრებმა გარკვეული ღირსება შემატეს ჩვენს ეროვნულ კულტურას, მაგრამ, როგორც ყოველი დიდი და მნიშვნელოვანი საქმე, შესაძლოა ვერ ჩაეტიენ იმ საყოველთაოდ დაწესებულ დროისა და მატერიალურ პარამეტრებში... ერთი შეხედვით, ყოველივე ეს თითქოს უმნიშვნელო ფაქტია, მაგრამ აშკარად ჩანს ტენდენცია, [illegible] არქიტექტურული პროფესიების [illegible] რომ თავის დროზე, რაკი არ გაგვაჩნდა შესაბამისი გამოცდილება და მაგალითი, საპროექტოები ორგანიზაციული სტრუქტურით ძირითადად სამრეწველო საწარმოებს დაეყრდნენ. ძნელია დღეს დავადგინოთ ამ მოვლენის ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე. ერთი კი ცხადია, რომ ასეთი გაერთიანება უსათუოდ ითხოვს შემოქმედი ინდივიდის, ხელოვანისა და საწარმოო ინტერესების გონივრულ რეგულირებას, მათ შორის ისეთი ოპტიმალური დამოკიდებულების დამყარებას, სადაც ეს ორი მხარე არათუ დაუპირისპირდება, არამედ ანგარიშს გაუწევს ერთმანეთის ინტერესებს.

პროფილირებულმა ინსტიტუტებმა კი დამატებითი სირთულეები შექმნეს და შეზღუდეს ხუროთმოძღვრის ასპარეზი. განა ნორმალურია, როდესაც არქიტექტორის შესაძლებლობების გამოვლენა დამოკიდებულია არა მის პოტენციალზე, არამედ იმაზე, თუ რომელ საპროექტო ინსტიტუტში მოხვდა სამუშაოდ?! რატომ უნდა აპროექტებდეს ერთი არქიტექტორი მთელი სიცოცხლე ქარხნებს, მეორე — მეძროხეობისა და მეფრინველეობის კომპლექსებს, მესამე — სასადილო-რესტორნებს, ხოლო მეოთხე გაცილებით მეტი არჩევანი ჰქონდეს მხოლოდ იმიტომ, რომ თურმე ინსტიტუტის პროფილია ასეთი! ცხადია, სპეციალიზირებულ ინსტიტუტებს გარკვეული უპირატესობანი აქვს, მაგრამ ამ „სპეციალიზაციასაც“ უნდა ჰქონდეს გარკვეული საზღვრები. საჭიროა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ავტორის შერჩევა ხდებოდეს არა მექანიკურად, არა იმის მიხედვით, თუ რომელ შენობაში და რომელ სახელოსნოში ზის იგი, არამედ მისი კვალიფიკაციისა და ტალანტის გათვალისწინებით, შესაძლებელია, კონკურსების მეთოდითაც. იდეალურად მიმაჩნია ისეთი სიტუაციის დამყარება, როდესაც მნიშვნელოვანი დაკვეთები მიდის ოსტატს და არა საპროექტო ინსტიტუტს.

კიდევ ერთ საკითხს მინდა შევეხო. დღეს დიდი საპროექტო ინსტიტუტების მესვეურთაგან ხშირად გაიგონებთ იმის მტკიცებას, რომ მათ საქმიანობას აძნელებს სხვადასხვა სამინისტროსა და უწყებასთან არსებული საპროექტო ბიუროები და კანტორები. ძალა რომ შესწევდეთ, წუთითაც არ დააყოვნებდნენ მათ ლიკვიდაციას. ძირითადი მოტივი ასეთია: ეს საპროექტოები იოლად აბრკოლებენ კადრების გადაბირებას, რითაც ინსტიტუტებს გარკვეული სირთულეები ექმნებათ. ამ საკითხს ვაყენებ არა იმიტომ, რომ ვამტკიცო მცირე საპროექტოების უპირატესობა პროექტების ხარისხობრივ გამოშვების საკითხში. რა თქმა უნდა, არა. საპროექტო ინსტიტუტები არა მხოლოდ თანამშრომელთა სიმრავლით სჯობიან, არამედ კვალიფიკაციითა და ტექნიკური აღჭურვილობით, გამოცდილებითა და კომპეტენციით. ამაზე არავინ არ დავობს. ეს ფაქტი საინტერესოა სწორედ იმ თვალსაზრისით, რასაც ეძღვნება ძირითადად ეს სტატია. საპროექტო ინსტიტუტების ხელმძღვანელები უნდა დაუფიქრდნენ, თუ რითი სჯობიან ეს ორგანიზაციები მათ, რა არის ის, რაც იზიდავს ამ კვალიფიციურ სპეციალისტებს საპროექტო კანტორებისაკენ. ძნელი დასაჯერებელია, თანაბარ პირობებში სპეციალისტმა დატოვოს ავტორიტეტული ინსტიტუტი, შეჩვეული კოლექტივი და გადავიდეს უწყებრივ კანტორაში. საქმე ისაა, რომ საპროექტო ბიუროები გაცილებით მობილურნი და ოპერატიულნი არიან როგორც შრომის ანაზღაურების მხრივ, ასევე სპეციალისტების მიწვევის, შეთავსებისა და დაკვეთების მიღების მხრივაც. ჩემი აზრით საპროექტო გიგანტებმა მათი ლიკვიდაციისათვის კი არ უნდა იბრძოლონ, არამედ კარგად გაერკვნენ მათ უპირატესობაში და თვითონაც გაიღონ. ეჭვი არ არის, თუკი ასეთი რამ მოხდება, თუკი შრომის ანაზღაურების წესები გახდება ორგანული, თუკი საპროექტო ინსტიტუტებს ექნებათ შესაძლებლობა ოპერატიულად მიიღონ გარკვეული ოდენობის წინასწარ დაუგეგმავი სამუშაოები, ეს პატარა საპროექტოები თავისთავად გაქრებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, არავითარი შეზღუდვები არ იქნება გამართლებული, თუნდაც ელემენტარული სახელმწიფოებრივ-მეურნეობრივი თვალსაზრისით, ვინაიდან ისინი ასრულებენ არა ფუჭ, არამედ აუცილებელ და გადაუდებელ საქმეებს, რომელთაც ცხოვრება აყენებს დროდადრო და რომელთა უდიდესი ნაწილის წინასწარ დაგეგმვა შეუძლებელია.

ხუროთმოძღვრებას უდიდესი სოციალური, პოლიტიკური და იდეოლოგიური მისია აკისრია. თუ როგორ გავართმევთ თავს ამ მისიას, როგორი იქნება ქართული არქიტექტურის ხვალინდელი დღე, დიდადაა დამოკიდებული არქიტექტურულ კლიმატზე და იმაზე, ეყოლება თუ არა მას ძლიერი და ერთგული მოკავშირეები, რომლებიც შესძლებენ ერთი საერთო სახელმწიფოებრივი მიზნით გააერთიანონ ჩვენი მატერიალური, ტექნიკური, ორგანიზაციული და შემოქმედებითი შესაძლებლობები.

ქართული არქიტექტურის უკეთეს ხვალინდელ დღეზე რწმენას გვიმტკიცებს ის დიდი, მიზანდასახული მოღვაწეობა, რომელსაც ატარებს დღეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.



სანატორიუმი სოფ. ნოქალაქევში. არქიტექტორები ვ. დავითაია, თ. კლდიაშვილი, გ. კვიწინაშვილი.



შრომის დიდების მემორიალი ქუთაისში. არქიტექტორები შ. ბოსტანაშვილი, ვ. დავითაია.



# საბჭოთა სომხეთი 60 წლისა

ვაჰაგნ კარენცი

## ულიანოვების ოჯახი

ლურჯად გადახსნილ ვოლგის ფანჯრიდან
ერთი ლამაზი ბავშვი ლურჯთვალა
რუსეთის სივრცეს ჭვრეტდა ბეჯითად,
აყურადებდა ტკივილს უთვალავს.

ძლიერ უყვარდა ლექსი პუშკინის,
დედა უკრავდა გრძნობით ბეთჰოვენს...
თავისუფლების ფრთების წყურვილით
დღეები დღეებს გამოეთხოვნენ.

გადანახული განძი არ ჰქონდათ,
აღარც სასახლე ედგათ განთქმული, —
მათ ჭერს მომავლის რწმენა ათბობდა,
იყვნენ უბრალო და შემართულნი.

მაგრამ ჟანდარმი მუდამ მათ კართან
იდგა ქურდულად წყვდიად ღამეში...
იყო დაკითხვა,
ღრენა აფთართა,
ბინძურ ხელების სულში ფათური.

მერე გაქცევა,
ლტოლვა რამდენი,
ბედი რამდენჯერ უფსკრულს მიადგა...
მაგრამ ო, რწმენა, როგორც სანთელი,
აცისკროვნებდა მიზანს ნიადაგ.

დაუსრულებელ დევნას რა მოთვლის —
გადასახლება ახალ-ახალი...
დღეს წარსულიდან სხივად გამოკრთის
სული ნანრთობი, მზეზე მაღალი.

ვერ იტაცებდა მათ გულს დიდება,
ვერც ჩინ-მედლები, ვერც ზე წოდება...
რწმენა, სიკეთე და მორიდება
ასხივოსნებდა მათ მოწოდებას.

დამონებულთა ხსნა და გატანა,
ცხადად ახდენა ნანატრ სიზმარის...
რომ ჩამოგვცლოდა გზიდან სატანა —
აი, ეს იყო მათი მიზანი.

ბედმა გზა ხიფათს ბევრჯერ შეჰყარა,
მაგრამ მიზანი შერჩათ სულ ერთი;
საკუთარ სახლად ჰქონდათ ქვეყანა —
თვალუწვდენელი, როგორც რუსეთი.

ბოლოს იმედის თვალის გახელა
მოჰყვა ქარების მედგარ მოძახილს...
თავისუფლების დიად სახელად
იქცა ლენინის დიდი ოჯახი.

ის სახლი ახლა ჩვენს წინ ელვარებს,
თავისუფლება ჩვენ რომ გვაღირსა...
სხვებსაც ავუნთებთ ნანატრ მწვერვალებს,
საწუთროს გზები ივლის ხალისად.

რწმენის ვარსკვლავი დღეებს გვინათებს,
ციდან მზე დაგვმზერს თვალგახელილი...
დე, ჩვენც ვიცოცხლოთ იმავ სიმართლით,
როგორც ოჯახი დიდი ლენინის.

თარგმნა გრიგოლ ჯულუხიძემ

ოვანეს გრიგორიანი

## ჩემი სომხეთი

ჩემი ქვეყანა
ისე მცირეა,
რომ როცა კი მივდივარ სადმე,
სულ თავისუფლად შემიძლია
თან გავიყოლო.
იგი იქცა ჩემს ბედისწერად.
პაწაწინა,
როგორც ჩვილი ახალშობილი.
რუკაზე ერთი კოცნით დაფარავ.
ასეთია ჩემი ქვეყანა.
მაგრამ იგი ისე ვრცელია,
რომ თავისუფლად მოვათავსე
საკუთარ გულში,
გულში, რომელშიც
თვით სამყაროც ლაღად ეტევა.

თარგმნა თედო ბექიშვილმა

ავეტიკ ისააკიანი

## კერიის კვამლი

ისევ მშობლიურ მიწაზე ვდგები
და ბავშვის თვალით იმ ვარსკვლავს ვუმზერ,
შუქად რომ მაწვიმს ბედნიერს გულზე...
ისევ მშობლიურ მიწაზე ვდგები.

ჟღურტულით მხვდება ნაცნობი წყარო,
ჩემი ბავშვობის ცინცხალი ელდა,
მის ფირუზივით სარკეში ვხედავ
ყვავილს, რომელიც ჩემს ტოტზე ხარობს.

დრო ქსოვს საღამოს, ჩრდილებად დაშლილს,
სადღაც ჟივჟივებს ბარტყი ბალღივით
და მამაჩემი გარჯით დაღლილი
ნაცნობ ბილიკით ბრუნდება სახლში.

მეძახის დედა, თამაში წყდება.
მეც ვბრუნდები და დედის უბეში
ნატვრისთვალივით ვეძებ ნუგეშინს
და მზის ალერსით მაძინებს დედა.

კერიის ცეცხლი ღუღუნებს ამოდ,
ფარფატებს კვამლი... მშვიდდება სული...
ბჭობენ მშობლები... მერევა რული...
და თბილ ზღაპრებში გადასვლას ვლამობ.

ვითხოვ, არ ვიცი, ვინ გამცემს პასუხს.
ამ ცეცხლის გარდა არაფერს ვნატრობ, —
არც რა დიდება, სახელი, სატრფო,
ო, არაფერი არ მინდა, არ მსურს.

ოღონდაც მქონდეს ოცნების ნება,
ვიჯდე ამ ცეცხლთან, ვუსმენდე მშობლებს,
მშობლებს, რომლებიც არასდროს მოვლენ
ცეცხლთან, რომელიც გაჰქრა ან ქრება.

თარგმნა მორის ფოცხიშვილმა

არუთიუნ ჰოვნათანი

## საცერი

ამ საცერს ერთ დროს ფქვილი გაუცრია,
სულიც დაუცლია გზნებით,
დედაჩემის ხელებში ფართხალი ძაუწყია,
მიუფანტ-მოუფანტავს წლები.
უქმად არასოდეს არ დებულა,
ჰქონდა სიკეთეში წვლილი,
ტყუილ-მართალში გარკვეულა,
განუსხვავებია ქატოსგან ფქვილი.
დროს კი რა უქნია, — სადღაც დაუგდიათ,
ავად მოქცეულან კაცნი,
აბუჩად აუგდიათ, თავიც წაუგიათ,
რამეთუ საცერი ჯერ კიდევ გაცრის...
და კვლავ განასხვავებს
ქატოსგან ფქვილს.

თარგმნა მორის ფოცხიშვილმა

ლუდვიგ დურიანი

ციკლიდან „თილისმა"

●

კლდეებზე წყაროს სიცილი,
ცაში ფრინველის ყაშყაში,
ხომლის ციური ციმციმი, —
ჩაქსოვილია ამ ქვაში.
ხალხის სიბრძნე და წყურვილი
მას შეუსრუტავს ხავსითა,
ჩემი ლოცვა და სურვილიც —
ყველა ამ ქვაში გასხივდა.

●

შენი ყოველი ქვის კენჭი პურის ფასია დღემდე,
სომხეთო, ჩემო დიდებავ, ჩემო ყოფავ და დღეო!
შენს ქვას ვემთხვევი ალერსით, შენს
ცაგადახსნილ ედემს,
სომხეთო, ჩემო ლამპარო, სომხეთო დედამზეო!
შენს ხნულში, როგორც ხორბალი, ვღვივი,
მიმღერი ნანას,
სომხეთო, მნიფე მოსავლით აბრწყინებულო
ყანავ!

თარგმნა გრიგოლ ჯულუხიძემ

სილვა კაპუტიკიანი

●

არ ჩანხარ. ღამე ჩამოდგა მრუმე
და გული ჩემი თოფსა ჰგავს დაცლილს.
მხოლოდ ხანდახან ჰკენკავს სიჩუმეს
ნაგვიანევი ფეხის ხმა კაცის.
იმედს არ ვკარგავ და მეჩვენება,
რომ შორეული ნაბიჯის სუნთქვა
მოვა და სარკმელს მოეფერება,
მოვა და მეტყვის, რაც არვის უთქვამს.
ხმა გაჰქრა... კვლავაც ლოდინი მელის, —
ვისა აქვს ჩემი წუხილის დარდი!
ასე მგონია, ყველა გამვლელი
გარეთ კი არა, ჩემს გულზე დადის.

## კაკლის ხე

საზღვარგარეთელ სომეხ მწერლებს

ჩემო მოწყალე
სომეხო ხალხო,
მსოფლიოს ბაღის
ბოლოში სახლობ.
კაკლის ხესავით
ხარ უკვდავება,
ფეხთაქვეშ მიწა
გეცოტავება.
გადაგიშლია ფართოდ მკლავები,
ხოლო ნაყოფი — მკვრივი და სავსე —
ემაგ ცრემლით და სისხლით ნაკვები
გულუხვად ცვივა უცხო მიწაზე.

თარგმნა მზია ხეთაგურმა

ჰრაჩია ოვანესიანი

●

ო, სულო ჩემო,
არ დაიჯერო, რომ ზღაპარი
ლურჯი ფრინველის
ჩამოჭკნა გულში!
ქვითინებს წვიმა,
კარს ფხაჭნის კატა,
და წყვდიადი ხარხარებს გარეთ...

ჩვენ ბავშვებივით
გვწამს წარმტაცი ნაოცნებარი,
ზმანებებს ჩვენსას ვერ წარეცხავს
ღამის წყვდიადი.
რიჟრაჟი უკვე ახლოსაა
და გრილი წვიმაც
ლურჯი ფრინველის ზღაპარს
ლამბავს გაუთავებლად...

თარგმნა თედო ბექიშვილმა

მარია აკოფიანი

## შავად ნაწერი

შენ რას გაიგებ —
სიტყვათა თამაშს,
ადევნებია ფიქრის ამქარი;
შენ რას გაიგებ —
რა სევდა დამაქვს,
როგორ დავეძებ ლექსში მარგალიტს.
როგორ ვატარებ ქუჩაში ღიმილს,
რომ შემომხედო და გაგიხარდეს,
რომ ჩემი ხალხი, სანდო და თბილი,
როგორც არასდროს —
ისე გიყვარდეს.
და გაღიმებულს როცა შეხედავ
ადამიანებს, მეც მომიგონე,
თუ ვით ვცდილობდი მზე დაჰყოლოდათ
ამ შავად ნაწერ ლექსის სტრიქონებს.

●

იისფერი ზეცის დარად
იად მოგევლინე...
მალე დავწნავ ვარსკვლავთ კარავს,
გულზე მიმიფინე.
ჩემი ლურჯი ოცნებები
ღრუბლებს მიაწვდინე...
იისფერი ზეცით ვთბები,
გაფრქვევ იის წვიმებს...

●

მქონდა განძი დიდებული,
მსურდა შენთვის მომეტანა —
ეს ზღვასავით სავსე გული,
ეს ქვეყანა.
დღეს გამქრალა ის ხმა ტალღის,
ნაპირს შერჩენია ზარად...
და შენც მოხვალ, მოთმინებავ —
ნაღვლიანად...

თარგმნა ბორენა ჯაჭვლიანმა

ჰამლეტ კარჩიკიანი

## დედა სამშობლოვ!

ყველა შენს სახელს იფიცებს წმიდას,
ყველა სულდგმულობს სახელით შენით,
შენ კი, ყველაფრის შემყურეს მშვიდად,
არ გინდა მათი ვალი და ძღვენი.
ეალერსები თანაბრად ყველას,
არიგებ დოვლათს დაუღლელ ხელით,
თუმც ყველასაგან იმედს და შველას,
ჭირში თანდგომას შენ როდი ელი.
თვითონვე ირჩევ სახელებს რჩეულს,
უყოყმანოდ რომ კვდებიან შენთვის,
ისე გწირავენ სულსა და სხეულს,
შენი დიდების არ ხვდებათ წვეთიც.

ყველას იმედი და ნატვრა გახლავს,
ყველა სულდგმულობს სახელით შენით,
შენ ნაღვლიანად იღიმი მაღლა
და გზას მიჰყვები სინათლით ფენილს.

ალავნი

●

ქვამ ქვის გული გაიხეთქა,
გამოისხა ჩუმად ყლორტი,
ყლორტმა ცაში აიხედა,
მზისკენ აიღერა ტოტი.

ვფიქრობ გალვივებულ ქვაზე,
ცრემლს ვერ ვმალავ განაოცი, —
ო, ეს ტანჯვა მძიმე ასე
რად უნდოდა ამ დალოცვილს.

თითქოს ვიღაც მისმენს ქვაში
ჩუმად გადამყურე მყობადს:
რა აზრი აქვს ყოფას მაშინ,
თუ სხვასაც არ ვაძლევთ ყოფას.

თარგმნა დოდო ჭუმბურიძემ

## ლიტერატურათა მეგობრობა

ქართულ-სომხური პოლიტიკური, კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობანი დასაბამს საუკუნეთა მიღმა იღებენ. მსოფლიო ხალხთა ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება კიდევ ორი ისეთი ერი, რომელთა ბედი თუ უბედობა ასე ორგანულად იყო შერწყმულ-შესისხლხორცებული, როგორც ქართველთა და სომეხთა. მიუხედავად ენათა სხვადასხვაობისა, ქართველი და სომეხი ხალხი არაერთხელ ამდგარა ფერფლისაგან სწორედ ძმური ურთიერთდახმარების წყალობით. ამას ღაღადებს ასობით პერგამენტი და ფოლიანტი, ჩვენი ერების მთელი ისტორიული წარსული. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ჯერჯერობით პირველ ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებად ცნობილი V საუკუნის ქართული ლიტერატურის შედევრის იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების" მთავარი გმირი, შუშანიკი, სომეხთა განთქმული სარდლის ვარდან მამიკონიანის ასულია! მრავლისმეტყველია ისიც, რომ ამ ნაწარმოების უძველესმა სომხურმა თარგმანმა სათავე დაუდო ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთკავშირს.

ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობანი ამომწურავადაა გაშუქებული ბონდო არველაძის წიგნის „XIX-XX ს.ს. ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობანის" წინასიტყვაობაში.

ნაშრომის წინასიტყვაობა სულ რამდენიმე გვერდზეა გაშლილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასში მთელი სიცხადით აისახა ის ძირითადი და უმთავრესი, რაც სინამდვილეში გამოხატავს ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობას უძველესი დროიდან დღემდე.

წიგნის ძირითადი ნაწილი ასახავს სომხური ლიტერატურის კლასიკოსების ხაჩატურ აბოვიანის, გაბრიელ სუნდუკიანისა და ოვანეს თუმანიანის შემოქმედებით გზებს.

ეს ნაშრომი პირველი სერიოზული ცდაა ზღვა მასალის სისტემატური შესწავლისა, რამაც, რა თქმა უნდა, ავტორი მრავალი სიძნელის წინაშე დააყენა, მაგრამ მან კარგად გაართვა თავი. ავტორმა წარმოაჩინა საარქივო მასალები და საბუთები, რამაც შესაძლებელი გახადა ახლებურად დაგვენახა სომეხი ხალხის ზემოთ ხსენებული ღირსეულ შვილთა ცხოვრება და შემოქმედება, მათი ძმური, უზადო მეგობრული ურთიერთობა ქართველი ხალხის რჩეულ შვილებთან.

ქართველი მკითხველი საზოგადოებრიობისათვის დიდი ხანია ცნობილია ხაჩატურ აბოვიანის, გაბრიელ სუნდუკიანისა და ოვანეს თუმანიანის მწერლური სახელები; მათი ძმური, მეგობრული ურთიერთობანი ილიასთან, აკაკისთან, ვაჟასთან და ქართული სიტყვის სხვა კორიფეებთან. მარტო ის ფაქტი რად ღირს, ოვანეს თუმანიანმა საკუთარი შვილები რომ გააფრთხილა: დაგწყევლით, თუ ქართველთა წინააღმდეგ ომში მიიღებთ მონაწილეობასო.

ბონდო არველაძემ მეცნიერულად დაასაბუთა ბევრი სადავო საკითხი, ტაქტით აღნიშნა ზოგიერთი მეცნიერის მცდარი შეხედულებანი და ფაქტებით ნათელჰყო საკუთარი მოსაზრებების სისწორე.

სწორედ ამ ფუნდამენტურ ნაშრომზე წარმატებით დაიცვა ბონდო არველაძემ სადოქტორო დისერტაცია.

ჯემალ ცერცვაძე

ალასი აივაზიანი

# წმინდა ჭეშმარიტება

მოთხრობა

ჰიპრო ჯერ მეკალაპოტესთან იყო შეგირდად. ერთი თვე არაფერი და, თვის თავზე გეურქამ ფინთად ჩაიცინა:

— არა, ძმაო, შენი ხასიათის კალაპოტი ჩემი დუქნის ხარჯი არ არიის!..

რაღა ჩარა იყო და, ჰიპრომაც ცოტა ქვემოთ, მღებავ სამსონას დუქანში ჩაინაცვლა. რამდენიმე დღის შემდეგ ჰიპრო თავით ფეხამდე საალდგომო კვერცხივით იყო აჭრელებული, მის შეღებილ ტანსაცმელს კი, გაპუტული ქათამი რომ გინახავთ, ისეთი მიმხრჩვალი ფერი ედო.

— მუდრეგო, ერთი ამ შენს ფერი-მერს დახედე... მე რა, ყეინობა მაქვს დუქანში?! — უთხრა უსტა სამსონამ.

ჰიპრომ აქედანაც ბარგი აიკრა და უფრო ქვევით, მეკუბოვის დუქანში გადავიდა. აქ ყველანი მხიარულობდნენ და მარტო ჰიპრო იყო მოწყენილი. თვალი სულ გარეთ ეჭირა, ან არა და — მაზალო შეკითხვებს აძლევდა უსტა მიკირტუმას ამქვეყნიერ-იმქვეყნიერზე, სიკვდილზე და სიცოცხლეზე. მოწყენილ-ჩაფიქრებულს თან სიფათიც ისეთი ჰქონდა, რომ იმისი შემხედვარე დუქანში მოტრიალე ხალხი სიცილით იხოცებოდა... ერთი სიტყვით, ჰიპროს მეკუბოვის მხიარული დუქნიდანაც კიდევ ქვემოთ, ჩერქეზი მკალავის — ალიმას დუქანში მოუხდა ჩაბარგება. სირაჯხანაზე ამვლელ-ჩამვლელ ლამაზ ქალებს რა გამოლევდა და, ჰიპროც ერთთავად გარეთ იჯდა, თვალს აყოლებდა, სანამ ქალები ქუჩის ბოლოს არ მიჰფარდებოდნენ. ერთხელაც, როცა ერთმა ლამაზმა ქალბატონმა ჩამოიარა და ჰიპრო გარეთ გავიდა, რომ თვალისთვის წყალი დაელევინებინა, ალიმამ თავისი უშველებელი ფაფახი თვალებზე ჩამოიფხატა და დაადევნა:

— შიგ აღარ შემოხვიდე!..

ჰიპრომ უყურა, უყურა და ისევ აგორდა მისი ცხოვრება, ისევ აივსო საზრუნავით.

სირაჯხანა დაღმართია და ჰიპროც თითქოს თავის უკანალზე დაჯდა, ციგასავით დასრიალდა და ისე ჩავიდა ავლაბრიდან სირაჯხანის ბოლომდე, შეითან-ბაზრამდე. ავლაბარში ეკლესიები იყო, შეითანბაზარში — მიზგითები; ავლაბარში — აღმოსავლური ფუნდუკი, შეითანბაზარში — სპარსული აბანოები; ავლაბარში სინემატოგრაფის აპარატი წიწინებდა, შეითანბაზარში აქლემები დაირწეოდნენ ხვნეშით. ამათი შემაერთებელი კლდის თავზე მეტეხის ციხე იდგა... მტკვრის სანაპიროს დაყოლებაზე, ცოტა ქვევით, ორთაჭალის „სამოთხე" იყო საქეიფო ადგილებითა და ლამაზი გოგოებით... გინდა ეკლესიაში წადი, გინდა — ბაზარში, გინდა აბანოში შედი, გინდა — ციხეში!..

ჰიპრო ორიოდე დღე ბაზარში ხეტების შემდეგ მანდოლინის დამკვრელ სამეულს შეუერთდა. თბილისი მხიარული ქალაქი იყო... ჩინელები ეზოებში ფოკუსებს აჩვენებდნენ, ცეცხლსა ყლაპავდნენ; იტალიელები „ბელკანტოს" მღეროდნენ, გიტარასა და მანდოლინას უკრავდნენ... ეს იტალიელებიც და ჩინელებიც ნელ-ნელა დაიკარგნენ თუ, ვინ იცის, დათბილისელდნენ და ახლა ცეცხლსა ყლაპავდნენ და მანდოლინას უკრავდნენ ქართველები, სომხები, რუსები...

წკრიალებდნენ მანდოლინები სანაპიროს ეზოებში და მიიმდორიმიიღვენთებოდა ცხოვრება მტკვრის დინების რიტმით...

ჰიპროსაც მანდოლინა ეჭირა, გვერდში ამოსდგომოდა მაესტრო მოსე ბარნაბოს და საჩვენებელი თითით აწკარუნებდა ერთ სიმს, მხოლოდ ერთ სიმს... გაჰყურებდა ჰიპრო მოჩუქურთმებულ აივნებზე გამოფენილ ქალებსა და ქალბატონებს, გაჰყურებდა და შეცდომით სხვა სიმს აწკარუნებდა. მაესტრო მოსე ბარნაბომ მანდოლინას ყველა სიმი დააწყვიტა და ის ერთილა დაუტოვა, რომელზეც იმ დღეს ჰიპროს უნდა დაეკრა, ჰიპროს კი მუსიკა ხანდახან ისე აიტაცებდა, მსხვილი და კოტიტა საჩვენებელი თითით იმ ერთადერთ სიმსაცააწყვეტდა ხოლმე. კეთილი კაცი იყო მოსე ბარნაბო, მაგრამ მასაც გაუთავდა სიმები...

თბილისში ბლომად იყო ცისარტყელის ყველა ფერით მოლივლივე კახური ღვინოები, ზემბელებში ერთმანეთს ეალერსებოდნენ ერევნის ჰერამი და თავრიზული ყურძენი, კინტოების თაბახებზე ხართუთა პეწიანობდა, სპარსელები თავზე შემოდგმული ტაფებით დაატარებდნენ ცხვრის შემწვარ თავ-ფეხს და მისი სურნელი უჯდებოდა ქალაქის ყოველ კუთხე-კუნჭულს... თბილისში ოხრად იყო ინდისხურმა, დარიჩინი, მიხაკი, ფერად-ფერადი არაბული შარბათები, ყალია... და მიმოჰქროდა მათი სურნელი ქალაქში, ეზავებოდა ერთმანეთს, იქცეოდა რაღაც ჭრელ, ჯადოსნურ ღრუბლად, ტრიალებდა ავლაბარში, შეითანბაზარში და ნარიყალის უბანში, მერე წვიმად იქცეოდა და ის სურნელოვანი, ფერადი წვიმა უხვად ილვრებოდა მიწაზე... ჰიპრო თავს ასწევდა და ყლუპ-ყლუპად სვამდა იმ წვიმას.

— ვაჰ, ეგ რას იმასწრები, ჰიპრო? — ეკითხებოდნენ კინტოები.

— სადილს მივირთმევ, რაღა! — მიუგებდა ჰიპრო.

— გიჟია, ტო, მუდრეგი?.. — იცინოდნენ კინტოები.

დღისით ჰიპრო მტკვრის პირას ქვიშაზე იწვა და მზეზე თბებოდა, ღამით პარონ ასატუროვის კიბის ქვეშ, თავის საკანში შეიძვრებოდა და იქნებ ცხოვრებაში ამ ცოტასაც დასჯერებოდა, იმ დღეს რომ ქუჩაში არ გამოსულიყო.

გამოვიდა და... თითქოს სისხლში დაუარა შეითანბაზრის ყველანაირმა სურნელმა, ძარღვებში გაუჯდა ხარფუხის ყოველი ფერი, ძვლების გულისგული გაუმსჭვალა რიყისუბნის შუქ-ჩრდილების ჯადომ... ყველაფერი ერთად მიეძალა: ტკბილი და მწარე, ცხარე და მჟავე, მახრჩობელა და მოალერსე, ხავერდის სილბო და თეთრი ზეწრის სიმშვიდე...

თბილისის მთავარ ქუჩაზე, გალავინსკზე, სასეირნოდ გამოსულიყო ორთაჭალის სალხინოთა ოცდათორმეტი ლამაზმანი, მათი დასვენების დღე იყო ის ორშაბათი. ისეთნაირად მიარწევდნენ თეძოებს, თითქოს გაბუტვის საგანგებო წინასაძლადისში არიანო. მტკვრის ტალღებივით მიჯრით მინადენი კაბები ერთურთს ეტლაშუნებოდნენ და მათ ქვეშ დაჩნეული ფეხების ნაკვთოვანება საცნაურს ხდიდა პატრონთა მდაბიურ ყოფა-ყაიდას.

ოცდათორმეტი კაჰპა გოგო ერთად გამოსული ჯერ არავის ენახა გარეთ. თბილისს არ ახსოვდა ამაზე უფრო დიდი ლაშქრობა, შაჰ-აბასისა და მამადხანის შემოსევა ცეკვა-თამაში იყო ამასთან შედარებით. თბილისელებს ეს იდუმალი კეკლუცები გარეთ, თავიანთ გვერდით, ასე აშკარად ჯერ არ ენახათ, ჯერ არ ეგრძნოთ; ისინი აქამდის მხოლოდ თავისებური ლაპარაკის საგანი იყვნენ, ჭორი, ცოდვიანი ამბავი და ჯოჯოხეთის სიტკბოება... ჯერ ასე თვალსაჩინოდ არასდროს დაწყვილებულიყო აკრძალული და ნებადართული, ჯერ სამზეოზე არ ეხილათ ერთად ურდოში კდემა და ნანლომი უსირცხვობა...

ქალები მშვენობდნენ მაქმანებითა და არშიებით, აბრეშუმით, ფუნჯებითა და მბრწყინავი ქვებით... კაბების ჭრელა-ჭრულა ფერებშუა ცეცხლოვან მზერას ისროდნენ ქალები. ახალი რამ ხილი იყო თბილისისათვის ასეთი მზერა — ერთდროულად ტკბილი და ლირფი, გაბედული და მხდლური, ჭკვიანური და გიჟური, ცბიერი და მიამიტი, მოკაშკაშე და მიმქრალი...

თბილისელი ქალბატონები და ყმაწვილქალები სასწრაფოდ კეტავდნენ სარკმლებს, ზოგ-ზოგნი ფარდებშუა მაინც გასცქეროდნენ ამ ამაზრზენ საზეიმო სვლას. გასცქეროდნენ და მათში წარმოიშობოდა რაღაც გაუგებარი გრძნობა: უნდოდათ სიყვარული სიკვდილამდე, უნდოდათ გაშიშვლება და სახურავებზე შიშვლად ძრომიალი, გორაობა და მტკვარში გადავარდნა...

ამ საზეიმო სვლამ დაანგრია ბევრის ოჯახი. ნერსესიანთ სკოლის სტუდენტ სუქიასს სხვანაირად აემღვრა სისხლი, მიაგდო ხორენაცი თუ ნარეკაცი და — ჰაიდა ეშმაკის გზაზე! რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, ვინ იცის კიდევ რაები არ მოჰყვა იმ ზეიმურ აღლუმს თბილისში...

ღამე ჰიპრო თავის კუთხეში მოკუნტულიყო და ტიროდა. საოცარი კი იყო ის ტირილი, შიგადაშიგ ხანდახან სიცილსაც ამოუშვებდა ხოლმე... და ამის შემდეგ ჰიპროს ძილში აღარაფერი ზმანებია იმ ოცდათორმეტი უსირცხვილოს მეტი...

ორთაჭალის ბაღებში ამოსული ძინძი და ოხრახუში თავიანთ თმაფოთლებს გიჟურად იწეწავდნენ და უკიდეგანო მხრებზე იშლიდნენ, მწვანე სისხლი უდუღდათ და უბობოქრობდათ. კიტრი, შუშა კიტრი ხომ სკდებოდა ხვეული ქორფა პწკალების სისქისაგან! პამიდორი ივსებოდა, იბურთებოდა და მის წითელ, ნაზ კანს უცხო რამ ძალი ენატრებოდა, რომელიც ერთი უხეშად გულში ჩაიკრავდა მას, რათა გამსკდარიყო და შვება მისცემოდა.

ორთაჭალის ბაღებში ნაირ-ნაირი ლამპარ-ჩირაღდანი ანათებდა მუქ, ღამეულ ცას და სურნელებით თავბრუდამსხმელ ქვეშაგებში მუშტარს ნებდებოდნენ საფრანგეთიდან ჩამოსული ლამაზმანები...

ორთაჭალის ბაღებში ქეიფობდნენ „ბულოჩნი ასატუროვ ი სინოვიას" პატრონი ასატუროვი, აბანოების მეფე გოგილოვი, „მილოვარენი ზავოდ მილოვას" პატრონი მილიანი, მცხეთის მოურავი, თამამშევის ქარვასლა, მელიქ-აზაროვის შენობები...

ეს ჩვენი მთხლე ჰიპრო, ეს ჩვენი სირაჯხანელი ბემურაზი ჰიპრო, ეს ავლაბრის მაიმუნი ჰიპრო ცეცხლში იდაგებოდა და რა ცეცხლში! შენივთულ-შედედებულიყო მასში თბილისი თავისი აქლემებით, თავისი შახსეი-ვახსეებით, გოგირდის აბანოებით, მურწას ღიმილით, ქცეულიყო სისხლად, მოწითალო თუ ნარინჯისფერ სისხლად, მქუხარებდა ჰიპროს სხეულის ყოველ მისაქცევ-მოსაქცევარში, ქვითინებდა, ბრდღვინავდა, ივედრებოდა, მტკივარობდა, მკივარობდა, საბოლოოდ კი წვიმიანი ამინდის მოწყენილობა მოეჭონდა და ტირილის გუნებაზე აყენებდა პატრონს. როცა ის ოცდათორმეტი გოგო ეწვეოდა მის ჭვარტლიან სისხლს, ჰიპროს ახსენდებოდა მამა და ტიროდა; ახსენდებოდა დედა და — ტიროდა, ახსენდებოდა თავიანთი კონკ-მანკიანი სახლი და ტიროდა...

და ეს თბილისელი ნაძირალა ჰიპრო უტრიალებდა ორთაჭალის ბაღებს, შორიდან უყურებდა ნაცემი ძაღლივით, სუნავდა და აყურადებდა, ბაღში უხმობდა იქიდან მონადენი ხმაური, ჩურჩული თუ სუნთქვა-ოხვრა...

მთელი დღე ქალაქის ქუჩაბანდებში ნათრევ ჰიპროს ფეხები ბოლოს მაინც ორთაჭალის ბაღებისკენ წაიყვანდნენ. გარს უვლიდა ჰიპრო იმ ხმაურიან მორევს და გვიან საღამოს ბრუნდებოდა სახლში.

რამდენი ფული უნდა აგროვო კაპიკ-კაპიკ, რომ ხუთი მანეთი შეაქუჩო? ეგ რამდენი კაპიკია, ტო, ეგ ხუთი მანეთი?.. ეგ რამდენად ჭკვიანია, მაშასადამე ბატონი თამამშევი, რომ მაგდენი ფულის დათვლა შეუძლია... ამდენ კაპიკებს როგორ თვლიან ეს ოჯახაშენებული მდიდრები, ტო?.. ვაი შე საწყალო ჰიპრო, თითო კაპიკობით ათი წელიც რომ აგროვო, მერე იმდენებს დათვლი კი?! ხუთი კაპიკი რომ მეკალაპოტე გეურქასთვის ეთხოვნა, ხუთი მღებავ სამსონასთვის, ხუთიც კიდევ მკლავ ალიმასთვის, ეგ რამდენი იქნებოდა?.. ორთაჭალისთვის ნამდვილად ცოტა უნდა ყოფილიყო... და იგრძნო ჰიპრომ, რომ ყველაზე ძნელი მისთვის სწორედ ეს თვლა იყო...

ღამე თავის თვალგამოთხრილ კუთხეში მიყუნცული, მუხლიკვრებზე ხელებშემოჭდობილი ჰიპრო მწარედ რჯულავდა თავის სისხლს: „კუბოსთან ყოჩაღად, მხიარულად დგომა ვერ შეიძელი, ტო, ბემურაზო!.. კალაპოტის გამოჭრა ვერ ისწავლე, ტო, ბემურაზო!.. მაშ, რა უფლება გაქვს, რომ ერთი ამბავი გაგაქვს ჩემში, მიდი-მოდიხარ და ჭკივი... თამამშევის სისხლზე ძვირფასი ხარ თუ როგორ არის შენი საქმე?".. ასე ელაპარაკებოდა ჰიპრო საკუთარ სისხლსა და თან მსხვილ მუშტებს იშენდა სხეულზე. მაგრამ დილით უკვე აღარ ჰქონდა სისხლთან ლაპარაკის თავი და რაკი სხვა გამოსავალი აღარ უჩანდა, პირდაპირ ვანქის ეკლესიაში წავიდა. ეკლესიის კედლები სიცივეს ისუნთქებოდნენ და თავიანთი იმ ცივი სუნთქვით ჰიპროც გამსჭვალეს. ჰიპრომ თავი ყოვლად ჭეშმარიტად იგრძნო, როგორღაც საკვირველად დაკარგა თავისი ქონიან-წვირიანი სხეულის მგრძნობელობა და თითქოს რაღაცნაირი გამჭვირვალობა შეიძინა. ჰიპროს ეჩვენებოდა, თითქოს თვითონ არა ჩანდა ეკლესიაში, თითქოს კარებიდან შემოჭრილი სინათლე გამჭოლ გადიოდა მის სხეულში და მისი სხეულიც სინათლისგან იყო ქმნილი, თითქოს აგერ, ჰა და ჰა, მთლიანად ეზიარება სინათლეს, ასწევენ მაღლა, წაიყვანენ, წაიყვანენ და... ჩამოსხამენ ორთაჭალის ბაღებში.

ჰიპროს გრძნობა სუფთა იყო, უდრტვინველი, შინაგანად მშვიდი და ბრწყინვალე... ჰიპრომ უყურა კედლებს, წმინდანთა ხატების მსხვილ თვალებს და მოეჩვენა, რომ ყველანი თანაუგრძნობენ, ყველას მხოლოდ მისი ბედი ადარდებს...

თავისი ხენაკიდან ტერტერა გამოვიდა და მრავალ საგანთან ერთად მისი მხედველობის არეში ჰიპროც მოხვდა. სულიერი მამა განცვიფრდა. ჰიპროს ისეთი შთაგონებული სახე ჰქონდა, ისეთი კეთილშობილი, ისეთი წმინდა, ძლიერი და მიზანსწრაფული, რომ ეს ჩია, თავის დღეში განუცვიფრებელი ტერტერა მიუახლოვდა მას და პირჯვარი გადასწერა. ჰიპრო აქვითინდა, აქამდე ნაგროვ-ნადები გრძნობა გულწრფელად გადმოყარა ცრემლებად.

— რა მოგივიდა? — შეეკითხა ტერტერა ჰიპროს, დაავიწყდა თავისი მდგომარეობა, თანამდებობა, გარემო და ისე უბრალოდ, ბუნებრივად შეეკითხა, თითქოს ქუჩაში დავარდნილ ადამიანს სთავაზობდა შველას.

ჰიპრომ სულიერ მამას შეხედა. მისმა გულწრფელმა, განწმენდილმა მზერამ შეაღო ტერტერას გულის კარები. და ჰიპრო მოჰყვა: საცოდავი ვარო, შინ ერთადერთი შვილი მყავს და ისიც სასიკვდილოდ გადადებულიო, შვილი ამა ქვეყნისა, რომელიც იმ სიყვარულის ძირია, ახლა რომ დავკარგო, მერე არავინ და არაფერი არ მეყვარებაო... შვილიც იმიტომ კი არ მიყვარს, რაკი ჩემი შვილია, უფრო იმიტომ, რომ ადამიანთა მძივის ერთი მარგალიტია და ის მარგალიტი თუ დაიმსხვრა, მთელი მძივი გაწყდება და გაიბნევაო...

შვილი მიკვდება, რადგან ცხოვრება მკაცრია, ხოლო ღმერთი ერთადერთიაო.

ობოლი, ბაიყუში ჰიპრო იმდენად იყო დარწმუნებული თავისი ნათქვამის ჭეშმარიტებაში, უფრო მეტიც — იგი იმდენად ჭეშმარიტი იყო, რომ რაიმეს გამოგონების ან სიტყვების ძებნის საჭიროებას არც კი გრძნობდა... იმდენად იყო შინაგანად ერთქმნილი, იმდენად ბუნებრივი, რომ ტერტერას არც კი უგრძვნია მისი თბილისური კილო, ხვლიბისა და ხვრინვის მსგავსი მდაბიური სიტყვა-გამოთქმები, ლანძღვაგინების სუნი რომ ასდიოდათ... ყველაფერი გასაგები იყო, ყველაფერი წმინდა...

ტერტერამ ჰიპრო თავის სენაკში შეიყვანა, ანუგეშა, როგორც შეეძლო, მერე სადილიც შესთავაზა... მაგრამ ჰიპროს არ შეეძლო „შვილის სახსნელად" განკუთვნილი დროიდან თუნდ ერთი წამიც კი სხვა საქმისთვის მოეხმარებინა, ამიტომ უარი თქვა სადილზე.

ჰიპრო ეკლესიიდან გამოვიდა, ხელში მაგრად ჩაებღუჯა ხუთი ოქრო. გამოსვლისთანავე ორთაჭალის ბაღებისკენ ჩაუხვია.

დილა თენდებოდა. ორთაჭალის დაღლილ „სამოთხეს" ის-ის იყო ჩასძინებოდა... ღამეული ხმები მიმწყდარიყო, საპირფარეშოს კარი თუ გაიჭრიალებდა სადმე ან კანტიკუნტად ძაღლები თუ შეჰყეფდნენ აქა-იქ.

ჰიპროს მუშტი მაგრად მოეკუმა, ბაღებს უსუნსულებდა და ყურადღებით აკვირდებოდა იქაურობის გამოღვიძების რაიმე ნიშანს.

სომხურიდან თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა



გალაკტიონ ტაბიძე. მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილი.

# მუსიკალური დღესასწაული

## ევგენი ნესტერენკო თბილისში

დამთავრდა სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სოლისტის, სსრკ სახალხო არტისტის — ევგენი ნესტერენკოს გასტროლები თბილისში. სამი საღამოს განმავლობაში საოპერო თეატრის სცენაზე ჟღერდა თანამედროვეობის ამ ერთ-ერთი თვალსაჩინო მომღერლის ვოკალურ-საშემსრულებლო თვისებებით მართლაც რომ უნიკალური ხმა. ეს სამი საღამო ალბათ კიდევ დიდხანს ემახსოვრებათ თბილისელ თეატრალებს.

„ნესტერნეკო ჩვენი დროის ერთ-ერთი უძლიერესი ბანია. აქვს ფანტასტიკური მოცულობის, დახვეწილი და ლამაზი ხმა. საშემსრულებლო სტილით შალიაპინს მოგვაგონებს..." — წერს მომღერალზე უნგრეთის საოპერო ენციკლოპედია.

უმაღლეს შეფასებას იძლევა ყველა იმ ქვეყნის პრესაც, სადაც კი უმღერია მას — ვენის ოპერა თუ ლონდონის „კოვენტ-გარდენი", არგენტინის „კოლონი" თუ სან-ფრანცისკოში გამართული ფესტივალი „არენა და ვერონა", მიუნხენისა თუ „ლა-სკალას" საოპერო თეატრები.

ევგენი ნესტერენკოს სტუმრობა თბილისში 22 ნოემბერს დაიწყო. დილით ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში მომღერალს შეხვედრა მოუწყვეს, მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ სოლო-სიმღერის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნოდარ ანდღულაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, პროფესორი გიორგი გოგიჩაძე და სხვები. შემდეგ ევგენი ნესტერენკომ ღია გაკვეთილი უჩვენა (როგორც მოგეხსენებათ, იგი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა — პ. ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიაში სოლო სიმღერის კათედრის გამგეა). სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ სტუდენტები, რომლებიც სიმღერის შემდეგ ისმენდნენ მათი მასწავლებლის შენიშვნებს. ღია გაკვეთილი გამოირჩეოდა პედაგოგის კულტურით, სწავლების თავისებური მეთოდიკითა და ერუდიციით. გაკვეთილმა, და შემდეგ, 24 ნოემბერს, ჩვენი კონსერვატორიის მცირე დარბაზში გამართულმა ევგენი ნესტერენკოს სტუდენტთა კონცერტმა დიდი ინტერესი გამოიწვია სპეციალისტთა შორის.

მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც წინ იყო: 22 ნოემბერს ევგენი ნესტერენკო როსინის ოპერა „სევილიელ დალაქში" დონ ბაზილიოს პარტიას ასრულებდა, 23 ნოემბერს მღეროდა მეფისტოფელს გუნოს ოპერა „ფაუსტში", ხოლო 25 ნოემბერს სოლო კონცერტი იყო დანიშნული.

ალბათ ვერავითარი აღწერა და ეპითეტები ვერ გადმოსცემს იმ ბრწყინვალე გამოსვლებს ჩვენი საოპერო თეატრის სცენაზე მომღერალს რომ ჰქონდა. ევგენი ნესტერენკომ მართლაც რომ მოხიბლა და მოაჯადოვა მაყურებელი თავისი ხმით, არტისტიზმითა და პროფესიონალიზმით. უნდა ითქვას, რომ თეატრის ხელმძღვანელობამაც, რაც ძალა შესწევდა, ყველაფერი იღონა, რათა სპექტაკლები მაღალ აკადემიურ დონეზე ჩატარებულიყო. ორკესტრმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. აზმაიფარაშვილის და თ. ჯაფარიძის დირიჟორობით, აგრეთვე შემსრულებლებმაც — სსრკ სახალხო არტისტებმა მ. ამირანაშვილმა და ლ. ჭყონიამ, მომღერლებმა — ჯ. მდივანმა, ი. კავსაძემ, ლ. ასათიანმა და სხვებმა, კარგი პარტნიორობა გაუწიეს გასტროლიორს.

ევგენი ნესტერენკოს თბილისში სტუმრობის საბოლოო აკორდი იყო სოლო კონცერტი: პირველ განყოფილებაში აჟღერდა გლინკას, დარგომიჟსკის, რახმანინოვის, ჩაიკოვსკის რომანსები, ხოლო მეორე განყოფილება დაეთმო არიებს საოპერო რეპერტუარიდან — ჩაიკოვსკი, რახმანინოვი, ბოროდინი, ვერდი, როსინი.

არა და არ ცხრებოდა ტაში... „ბისზე" შესრულდა მუსორგსკი, გლინკა, სვირიდოვი, და სხვა.

თბილისელებმა ოვაცია გაუმართეს შემსრულებელსა და მის კონცერტმეისტერს — უზადო მუსიკოსს — ევგენი შენდეროვიჩს. მომღერალი და პიანისტი ყოველ ახალშესრულებულ ნაწარმოებში გვანცვიფრებდნენ გარდასახვის უნარით, ხან დრამატიზმით და ხან გროტესკამდე მისული ირონიით, ამავე დროს ნატიფი გემოვნებითა და აკადემიურობით.

ეს საღამო ნამდვილი დღესასწაული იყო.

### საგასტროლო შთაბეჭდილებები

კონცერტის შემდეგ ჩვენ ვთხოვეთ ბატონ ევგენი ნესტერენკოს ორიოდე სიტყვა ეთქვა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" მკითხველებისათვის. აი, რა გვითხრა მან:

„ძალიან მიყვარს ქართული მუსიკა. ხშირად ვისმენ ხოლმე. მანცვიფრებს ქართული ხალხური სიმღერების მრავალხმიანობა და ორიგინალობა. ქართული კლასიკური რეპერტუარიდან კი ჩემი საყვარელი ოპერაა ზ. ფალიაშვილის „დაისი". თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოებია ოთარ თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება", განსაკუთრებული სიამოვნებით ვმღერი ამ ოპერაში დიდი თეატრის სცენაზე.

ჩემი მომავლის უახლოესი გეგმები თუ გაინტერესებთ, გეტყვით, რომ ზეგ სპექტაკლი მაქვს მოსკოვში, ხოლო შემდეგ მიუნხენში მივფრინავ. ჭერჭერობით ეს არის და ეს.

და ბოლოს, ნება მომეცით თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც ასეთი სითბო და გულითადობა მაგრძნობინა თბილისში ამ პირველი სტუმრობისას".

„ე. ნესტერენკო არის რუსული ვოკალური სკოლის ნოვატორული ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი",—წერდა თავის დროზე დიმიტრი შოსტაკოვიჩი. ჩვენ კიდევ ერთხელ ვირწმუნეთ ამ სიტყვების ჭეშმარიტება.

ერთადერთი სურვილი გვექნებოდა — უფრო ხშირად ჩამოსულიყვნენ ამ რანგის მუსიკოს-შემსრულებლები საბჭოთა კავშირისა თუ უცხოეთის სხვადასხვა ქალაქებიდან, როგორც ჩამოდიოდნენ ხოლმე ამ ათეული წლების წინათ. ეს სტიმულს აძლევს პროფესიონალებს, უხვეწს გემოვნებას ახალგაზრდობას და, რაც მთავარია, ჩვენი მუსიკალური ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქცევა ხოლმე.

ჟანა თოიძე





მეფისტოფელი — გუნოს ოპერა „ფაუსტი".  ე. ნესტერენკო.

# ალიმართება დავით კლდიაშვილის ძეგლი

სულ მალე თერჯოლაში ალიმართება დავით კლდიაშვილის ძეგლი.

იქ, სადაც მწერლის ძეგლი დაიდგმება, ამას წინათ საზეიმო მიტინგი მოეწყო, რომელსაც ესწრებოდნენ რაიონის მშრომელები, მოწინავე კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, შრომისა და სამამულო ომის ვეტერანები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა თერჯოლის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვახტანგ ხუჯაძემ. ნიშს, სადაც ალიმართება ძეგლი საბურველი შემოაცალა პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველმა მდივანმა ანზორ ბურჯანაძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ ზედა სიმონეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზურაბ გვენეტაძე, თერჯოლის სანერგე მეურნეობის მუშა ეთერ ენუქიძე და ჩხარის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი რ. სახელაშვილი.

ადგილი, სადაც მწერლის ძეგლი დაიდგმება, თერჯოლელმა მოსწავლეებმა ყვავილებით შეამკეს.

ვანო კუტალაძე

□

# „ცისკარი" № 11

გამოვიდა ჟურნალ „ცისკრის" მეთერთმეტე ნომერი, რომელიც იხსნება გალაკტიონ ტაბიძის ლექსით — „დროშები ჩქარა!".

პროზის განყოფილება მკითხველებს სთავაზობს, ლალი დეკანოსიძისა და ნესტან კვეიძის მინიატურებს, ამირან კალაძის, გიორგი ლაბაძისა და ნოდარ კობერიძის მოთხრობებს, ნუგზარ წერეთლის „მე ახლაც ოცდახუთი წლისა ვარ" (დასასრული) და ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლებს" (გაგრძელება).

პოეზიის განყოფილება წარმოდგენილია იზა ორჯონიკიძის, ტაგუ მებურიშვილის, ელდარ კერძევაძის, ვანო ჩხიკვაძის, შარლოტა კვანტალიანის, პაატა ნაცვლიშვილის, მზია ჩხეტიანის, ვაჟა ყუბუსიძისა და ვაჟა ოთარაშვილის ლექსებით.

„ახალი თარგმანები" — ამ რუბრიკით დაბეჭდილია სარვეშვარ დაიალ საქსენას მოთხრობა — „მკვდარი თევზის შეხება" (ჰინდიდან თარგმნა ნიკოლოზ კენჭოშვილმა).

რუბრიკით — „წერილები" — დაბეჭდილია გურამ გვერდწითელის, დარეჯან მეგრელიძის, გურამ გვენეტაძის, დოდო ჭუმბურიძის, დავით ჯანელიძის, ლევან ფრუიძისა და ჯემალ აფციაურის წერილები.

რუბრიკა „ხელოვნება" წარმოდგენილია თინა კობალაძის წერილით — „რაც ლეგენდაშია გადასული".

„გახსენება" — ამ რუბრიკით ჟურნალი ბეჭდავს ჯანსულ ღვინჯილიას წერილს — „..როდესაც ეშვება ფარდა".

□

# „ჭოროხი" № 6

გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირისა და აჭარის განყოფილების ჟურნალ „ჭოროხის" მეექვსე ნომერი.

მოწინავე წერილით — „შემოდგომის დღეები აჭარაში", ჟურნალი ესალმება აჭარაში თბილისის დღეების მონაწილეებს.

რუბრიკით — „თბილისიდან ნათქვამი სიტყვები" იბეჭდება ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას გამონათქვამები აჭარაზე, ხოლო „საქართველოს ოქროს ლაჟვარდის" რუბრიკით ნოდარ დუმბაძის, ჯანსულ ჩარკვიანის, კორნელი სანაძის და ავლიპი ზურაბაშვილის მისალმებები, აქვეა მამია ვარშანიძის ნარკვევი და ემენ დავითაძის ლექსები.

სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად ჟურნალი ბეჭდავს იოსებ ბექირიშვილის ნარკვევს.

ბათუმის თეატრის 100 წლისთავს ეძღვნება მურად ხინიკაძის და პარმენ ლორიას წერილები.

ჟურნალში დაბეჭდილია შოთა ზოიძის ლექსი, ვოლტერ ჰანტურიას და რამაზ სურმანიძის წერილები.

ჟურნალი ფართო ადგილს უთმობს ახალგაზრდობის შემოქმედებას. „ახალგაზრდობა — იმედი ხვალის" — ამ რუბრიკით იბეჭდება ვახტანგ ღლონტის, ბადრი თევზაძის და ვლადიმერ პასკოს ლექსები.

გაზეთ „კომუნისტის" 60 წლისთავს ეძღვნება მიხეილ მშვიდობაძის წერილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მკითხველებს თავაზობს სიმონ არველაძის, გიორგი გაჩეჩილაძის და იოსებ მეგრელიძის წერილებს.

„რას მოგვითხრობენ ტოპონიმები" — ამ რუბრიკით დაბეჭდილია გუგული დიასამიძის და ნუგზარ მგელაძის წერილები.

იოსებ ნონეშვილის ხსოვნას ეძღვნება ალექსანდრე სამსონიას წერილი.

ჟურნალს დ თული აქვს გასული ორი თვის ლიტერატურული ცხოვრების ქრონიკები.

ნომერი ილუსტრირებულია მხატვრების: გივი მეგრელიძის, ამირან გაგნიძისა და ხასან ინაიშვილის ნამუშევრების ფოტორეპროდუქციებით.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს მწერალ შალვა შენგელს მეუღლის —

ლიდა ჩხაიძე-შენგელის

გარდაცვალების გამო.

# გალაკტიონი ბათუმში

## (პოეტის ძეგლის გახსნის გამო

ჩვენ ერთად ვდგავართ, მე და ბიძინა ავალიშვილი, ცნობილი ქართველი მოქანდაკე, რომლის ვაჟა-ფშაველა სიმაღლესა და ვაჟკაცობას ჰმატებდა მაჩაბლის ქუჩაზე მწერალთა სასახლეს.

ბიძინა ავალიშვილი დაღლილია, არ იმჩნევს, მაგრამ დაღლილია. მთელი დღეები არ მოშორებია თავის გალაკტიონს, მოსწრებაზე იყო მისი დადგმა ბათუმში. მოესწრო და ახლა გახსნის მოლოდინში ვართ.

„ჩემი როლი ნიღაბით იყო სული ნიღაბის", — წერდა „ბნელ ქიმერებში" დიდი პოეტი.

მაგონდება მწერალთა სასახლეში გადმოსვენებული დიდი პოეტის ცხედარი; მართლა ლომივით იწვა, ფაფარაშლილი. ჩამქრალი თვალების სხივი კვლავაც ძალუმად მოსწოლოდა გაფერმკრთალებულ ქუთუთოებს, „და სამუდამოდ იყო ქართული". იწვა ყვავილებში, ენთო ერთი სანთელი და ჩამავალი მზე ელოდა, როდის დაესმებოდა წერტილი ქართველთა ეროვნულ სევდას.

მე რამდენიმე მეგობართან ერთად ღამეს ვუთევდი გალაქტიონს...

„ლავრაში ლოცვა ვერ დავამთავრე", „სიკვდილი ერთი და უცაბედი" — დაბორიალობდნენ ეს სტრიქონები დარბაზში.

დიახ, ეს ყველაფერი დღეს მახსენდება ბათუმში, ულამაზეს ბათუმში, აჭარაში, საქართველოს „ოქროს ლაჟვარდში". მზიანი დღეა, „შეძლებს, რომ გულის გულთან კავშირი შეწყვიტოს, ისე მიყვარს ბათუმი".

აი, ჩამოაშორეს თეთრი და სპეტაკი საბურველი და ყველას გასაკვირველად და გასახარლად ჩვენში, ადამიანებში, შემობრძანდა „სული ნიღაბის", გალაკტიონის „სული ნიღაბის", რომელიც ასე ერთგულად და განუყრელად მსახურებდა და დარაჯობდა დიდი პოეტის გადარჩენილ სიცოცხლესა და გადარჩენილ პოეზიას. არც მეტი და არც ნაკლები, მე ვნახე ქვაში გაცხადებული ქარიშხალი. მრავალ ბრძოლაგამოვლილი, უდიადესი ტკივილებით დაღარული სახე, ნაცრისფერ სივრცეებს უძლიერესი გენიით რომ შესჯახებოდა. დიდი მადლობა, ძვირფასო ბიძინა, სინათლით სავსე ფიალისათვის, რომლითაც ქვაში აღდეგრძელე მეფე ჩვენი საუკუნის ქართული პოეზიისა. ახლა იგი ბათუმის კუთვნილებაა, როგორ მოუხდა ამ ფესვქართულ ქალაქს დიდი პოეტის მძლეთამძლეობა.

ძმაო ბიძინა, „ეხლა ის დრო არი, როცა მედგარ მხატვრებს კვლავ უღვიძებს ქნარი „გულში ჩაფლულ ნატვრებს".

ჯანსულ ჩარკვიანი

წერილი რედაქციას

# დიდების ღირსნი

ჩვენი წინაპრები პარაკლისს უხდიდნენ ხოლმე კრწანისის ველზე გმირულად დაღუპულ მსახიობებს. თაობიდან თაობებში ლეგენდასავით გადადიოდა ქართველ მსახიობთა დიდი ვაჟკაცობის ამბავი. მსოფლიო თეატრის ისტორიაში ალბათ ბევრი არ არის მსგავსი მაგალითი.

გმირობა და ვაჟკაცობა ერთნაირად ძვირფასია, მიუხედავად იმისა, როდის მოხდა — მტერთან დამარცხებისა თუ გამარჯვების დროს.

კრწანისის ტრაგედიის გმირული ფურცელია ერეკლე მეორის სასახლის კარის თეატრის თავგანწირვა. მსახიობთა ბრძოლაზე თეიმურაზ ბატონიშვილი წერს:

„კვალად მცხოვრებთაგან ტფილისისათა გამორჩეულ იქნეს კაცნი მამაცნი და მარჯვენი, რომელთაც აღირჩიეს წინამძღვარად თავისად კაცი ვინმე მსახიობი. ესე იყო ერთი წარჩინებულთა მესაკრავეთა და მსახიობთაგან მეფისათა, მუსიკოსი და კომედიანტი, რომელსაც სახელად სდებდნენ მაჩაბლად. ესე მიუძღვა გუნდსა მას ტფილისელთასა მტერთა მიმართ. და ეპყრა ხელთა მისთა ბარბითი ე. ი. დაირა და უკრავდა მას ზედა შადიანსა, ე. ი. ხმასა მას, რომელსაც ლხინსს შინა დაუკვრნენ, ჟამსა უმეტეს სიხარულისა, ვინაიდან ხმაი ესა განამხიარულებს მსმენელთა, ხოლო მებრძოლნი ესე იყვნეს მკვირცხლნი და მიმართეს ქვეითთა ამათ და ბრძოდეს მტერთა ფიცხელად და შეუერთდა გუნდიცა ესე გუნდსა მას ფშავ-ხევსურთა, არაგველთა, ქიზიყელთასა და ჰყვეს მათ ატაკა მტერთა მიმართ და მოიწივნეს ვიდრე დროშებამდე აღამაჰმად-ხანისა და მოსტაცეს დროშანი რამდენიმე მხედრობათა აღამაჰმად-ხანისათა და მრავალნი სპარსთაგანი მოსწყვიტნეს წინაშე მისსა", ქართველმა მსახიობებმა „სახელოვნად დასთხივნეს სისხლნი თვისნი".

ქართული თეატრის თითქმის მთელი დასი დაიღუპა ბრძოლაში. 185 წელი შესრულდა მას აქეთ. რატომღაც მივიწყებას მიეცა კრწანისში ქართველ მსახიობთა გმირობის ისტორია. კარგი იქნება დაღუპულ მსახიობთა გმირობის უკვდავსაყოფად მემორიალი აიგოს. თვით ფაქტი ამგვარი მემორიალისა ისეთივე იშვიათი მოვლენა იქნება, როგორც თეატრის ტრაგიკული დასასრული კრწანისის ველზე...

ვასილ კიკნაძე

# გაზეთი მიეძღვნა პოეტს

ყოველი წლის ოქტომბერში, იყალთოს აკადემიის კედლებთან თავს იყრის ქართველი საზოგადოებრიობა და ზეიმით აღნიშნავს შოთაობას.

დღეისთვის ეს ტრადიციადაა ქცეული.

ამ ტრადიციას თითქმის ოცი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი, მაშინ, როდესაც დაარსდა იყალთოს სახალხო უნივერსიტეტი.

იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის დაარსება მხოლოდ წარსულის გამოხმობის სურვილი როდია. აქ, ძველი აკადემიის ამ კედლებში, დღესაც გრძელდება სიცოცხლე, მსმენელები ცხოველი ინტერესით ეცნობიან, როგორც წარსულს ჩვენი ერისა, ასევე მის დღევანდელობას.

ყოველ ამ დღესასწაულზე იყალთოს სახალხო უნივერსიტეტი უშვებს საგანგებო გაზეთს „შოთაობას".

ახლა, ჩვენ რომ ხელთ გვქონდეს ამ ოცი წლის მანძილზე გამოსული გაზეთის ყველა ნომერი, უფრო საინტერესოდ დავინახავდით იმ ადამიანთა საქმიანობას, რომლებიც კარგად ორგანიზებულ დღესასწაულთან ერთად ჩინებულ გაზეთსაც ახვედრებენ მრავალრიცხოვან სტუმრებს.

გაზეთი „შოთაობა" წელიწადში მხოლოდ ერთხელ გამოდის, ამდენად სურვილი — ქართველ მწერალთა, ხელოვნების მუშაკთა, მხატვართა თუ მსახიობთა — რომ ყოველმა მათგანმა მიიღოს მონაწილეობა გაზეთის ამ ნომერში გასაგებია. მონაწილეობა უნდა მიიღონ რაიონის მოწინავე მშრომელებმა, ადგილობრივმა ძალებმა. და ყოველივე ამას სჭირდება გულისხმიერი, საქმის მცოდნე ადამიანი, რომლის მახვილი თვალი ლექსსაც საუკეთესოს შეარჩევს და წერილსაც, ავტორებსაც საგანგებოდ დაუკვეთავს მასალებს და თუ რაიმე სიახლე მომხდარა რაიონის ცხოვრებაში, იმითაც გაახარებს მკითხველებს...

ჩვენ ხელთ გვაქვს გაზეთ „შოთაობის" წლევანდელი ნომერი. რომლებშიც არა ერთი საინტერესო მასალაა დაბეჭდილი. ავტორებიც საგანგებოდაა შერჩეული. პოეტ-აკადემიკოსს, სოციალისტური შრომის გმირს, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს — გრიგოლ აბაშიძეს და რუსთაველის პრემიის ლაურეატ, პოეტ მურმან ლებანიძეს მხარს უმშვენებს ჩვენი უხუცესი მეცნიერის აკაკი შანიძის წერილი. აქვეა დაბეჭდილი ახალგაზრდული თეატრ-სტუდიის მთავარი რეჟისორის სანდრო მრევლიშვილის, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის შერმადინ ონიანის და იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორის გიორგი შათირიშვილის წერილები. ამავე ნომერში მკითხველები ეცნობიან ახალ ფოლკლორულ შენაძენს, აგრეთვე საგანგებოდ შოთაობისადმი მიძღვნილ ქართველ პოეტთა ლექსებს.

გაზეთს ლაზათს მატებს სერგო ქობულაძის და ლადო გუდიაშვილის ნახატების ფოტორეპროდუქციები. აგრეთვე ფოტო — „ჩემი სოფლის სურათებიდან".

იყალთოს სახალხო უნივერსიტეტი კვლავ აგრძელებს მუშაობას, მსმენელთა ახალ-ახალ ნაკადს მიელის.

გაზეთ „შოთაობის" რედაქცია კი თავის მომავალ ნომერზე ფიქრობს — რით გაახაროს მოზეიმე მკითხველი, რომელიც იყალთოს აკადემიის უძველეს კედლებთან კვლავაც ინტერესით გადაშლის ახალ ნომერს.

# მოგონებანი ბეთჰოვენზე

## ფრანც გრილპარცერი

### სიტყვა ბეთჰოვენის საფლავზე

...1800 წლის ზაფხული ბეთჰოვენმა ავსტრიის პატარა და მყუდრო სოფელ უნტერდიობლინგში გაატარა. აქ ნახა მან პირველად საავარაკოდ ჩამოსული, მეზობლად მცხოვრები ცხრა წლის ფრანც გრილპარცერი... გავიდა ხანი. დიდი კომპოზიტორი და უკვე აღიარებული დრამატურგი შემოქმედებამ ერთმანეთთან დააახლოვა და დაამეგობრა.

...1827 წლის 26 მარტს ვენაში გადაუღებლად თოვდა და ქარბორბალა ტრიალებდა. დასნეულებული ბეთჰოვენი საწოლში წამოჯდა, ვილაცას ღონივრად მუშტი მოუღერა, დაემუქრა, შემდეგ ღონემიხდილი მიწვა და საბოლოოდ მიიძინა.

29 მარტს გამოიდარა. ბეთჰოვენის დაკრძალვას ოცი ათასამდე კაცი დაესწრო. ეკლესიამ და პოლიციამ სიტყვების თქმა აკრძალა, მაგრამ სასაფლაოს კარიბჭესთან, სადაც უკვდავ კომპოზიტორს მის მიერვე ოთხი ტრომბონისათვის დაწერილი სამგლოვიარო მუსიკა მიაცილებდა, ცნობილმა მსახიობმა ჰ. ანშიუტცმა შთამაგონებლად წარმოთქვა ფ. გრილპარცერის გამოსათხოვარი სიტყვა.

რადგანაც განსვენებულის საფლავთან ვდგავართ, გერმანიის ერთიანი ხალხის წარმომადგენელნიც ვართ ამჟამად; ჩვენ ვგლოვობთ გერმანიის ნაწილს, მის სისხლსა და ხორცს, რომელიც ჩვენთვის მარად დარჩება, როგორც მშობლიური ხელოვნების ბრწყინვალება და სამშობლოს სულის გამჟღავნება. იგი ახლაც ცოცხალია და მომავალშიც დიდხანს იარსებებს გერმანულ ენასა და კილოზე შექმნილი სიმღერების ტიტანი! მჟღერხმიანი სიმღერის უკანასკნელი დიდოსტატი, მუსიკალური ხელოვნების ჯადოქარი, ჰენდელისა და ბახის, ჰაიდნისა და მოცარტის მემკვიდრეობის გამგრძელებელი, მათი მარადიული დიდების მღაღადებელგანმავრცობელი განსრულდა და აცრემლებულნი ვდგავართ დადუმებული საკრავის დაწყვეტილ სიმებთან.

დადუმებული საკრავი-მეთქი! ნება მიბოძეთ ასე ვუწოდო! რადგან ხელოვანი იყო იგი და მხოლოდ ხელოვნებით სულდგმულებდა. ცხოვრების უკუღმართობამ მძიმე დაღი დაასვა მას და როგორც გემდამსხვრეული მგზავრი ნაპირისაკენ მიილტვის, ასე აღმოჩნდა იგი შენს მკლავებში, კეთილისა და ჭეშმარიტების სადარო დიდებულო დაო, ჩვენთა ვნებათა დამყუჩებელო, ზეგარდმო მადლის მომნიჭებელო ხელოვნებავ! შემოგვეკედლა და ვიდრე კარიბჭე დაგმანული ჰქონდა, თვით შენ იყავ მასში და შენ ესაუბრებოდი მას. როცა სმენასთან ერთად სინათლეც დაკარგა, შენი იერი მარად გულით დაჰქონდა, მოკვდა და მკერდს შერჩა მაინც სახება შენი!

იგი ნამდვილი ხელოვანი იყო. ვინ შეიძლება ამოვუყენოთ გვერდით? როგორც მითიური არსება მიაპობს ზღვის ტალღებს, ისე გადალახა მან ხელოვნების საზღვრები: მტრედის ღუღუნიდან ჭექა-ქუხილამდე, ძიებითა და ჟინიანობით მიგნებული მუსიკალური ხლართებიდან მის შემზარავ ტონალობამდე, სადაც ადამიანის მიერ შექმნილი ბუნებრივად ერწყმის სამყაროს ძალთა უწესივრო თვითნებობასა და სიხალასეს. ყველაფერს ჩახწვდა იგი, უკლებლივ ყველაფერი მოიცვა. ვინც შემდეგ მოვა, ის ვერ განაგრძობს, მან თავიდან უნდა დაიწყოს, რადგან მისმა წინამორბედმა დაამთავრა იქ, სადაც ხელოვნება თავდება. ადელაიდე და ლეონორე! ვიტორიის გმირთა ზეიმი! წირვის ღვთაებრივი სიმღერა! მგრგვინავი სიმფონია! „ღვთივ კურთხეული ნეტარების ნაპერწკლის" გედის სიმღერავ! გალობისა და სიმებიან საკრავთა მუზავ! გარს შემოერტყით და დაფნები მიმოაბნიეთ მის საფლავზე.

ის ხელოვანი იყო, მაგრამ ამავე დროს ადამიანიც. ადამიანი! ამ სიტყვის უსრულქმნილესი მნიშვნელობით. სამყაროს გაერიყა და უხიაგად მონათლეს, გრძნობას არ აჰყვა — უგრძნობელობა დასწამეს. მაგრამ ვინც მძლავრია, ის არც გაურბის სიძნელეებს, ასეა სწორედ: გრძნობამოჭარბებული გაურბის მოზღვავებულ გრძნობას. ქვეყანას გაემიჯნა, რადგან თავის სულის სიღრმეში ვერ ჰპოვა იარაღი, რითაც წინ აღუდგებოდა მას. ადამიანებს გაეთიშა, რათა მათთვის ყველაფერი მიეცა, თვით კი არაფერი მიეღო მათგან. შესაფერისი ჯუფთის უპოვნელი მარად კენტად დარჩა, მაგრამ სიკვდილამდე შემოინახა ყველასადმი ადამიანური გული, მოყვასთა მშობლიურობა და ერთიანი სამყაროს მადლი და სიკეთე.

ასეთი იყო, ასეთად მოკვდა, ასეთად იარსებებს ყველა დროში.

დაიყუჩეთ ტკივილები, ვინც მას სამუდამოდ ეთხოვებით. თქვენ კი არ დაგიკარგავთ იგი, არამედ ახლა ჰპოვეთ. ოდეს ჩვენი სიცოცხლის კარი სამუდამოდ ირაზება, ტაძრის კარიბჭეზე უკვდავებაც აღიბეჭდება ხოლმე. ის იქ არის სამარადჟამოდ, ყველა დროის თავკაცთა გვერდით, უკვე დამცხრალი. გამოეთხოვეთ დამწუხრებულნი, მაგრამ მის სამარეს დამშვიდებულნი გაეცალეთ. და თუ ოდესმე ცხოვრებაში მის ქმნილებათა ძლიერება მოვარდნილი ქარიშხალივით შეგაზანზარებთ, როცა თქვენი ცრემლები დაეცემიან ჯერ კიდევ გაუჩენელ მოდგმას, მაშინ მოიგონებდეთ ამ დროს და მარად გახსოვდეთ: რაჟამს მიიცვალა, მწარედ ვტიროდით, და როს დაკრძალეს ჩვენც ვესწრებოდით.

### კლარა ვიკი და ბეთჰოვენი

ერთი ათეული წელი საკმარისი აღმოჩნდა დიდი კომპოზიტორის დასავიწყებლად. სწორედ ამ დროს ვენაში ჩამოდის მე-19 საუკუნის უგამორჩეულესი პიანისტი, რობერტ შუმანის მომავალი მეუღლე — კლარა ვიკი. 1838 წლის 7 იანვარს 19 წლის პიანისტმა პირველად შეასრულა ბეთჰოვენის „აპასიონატა". მისი ვირტუოზობით მოხიბლულმა და აღფრთოვანებულმა გრილპარცერმა იმ საღამოსვე დაწერა ლექსი და ახალგაზრდა ხელოვანს მიართვა. პიანისტის მამამ ეს ლექსი გადაუგზავნა ჟურნალ „ვინერ ცაიტშრიფტს", სადაც 9 იანვარს გამოქვეყნდა. მიძღვნა მალე სხვა ჟურნალ-გაზეთებმაც გადაბეჭდეს, იტალიურად ითარგმნა და მუსიკაც დაიწერა. შუმანმა ერთ-ერთ წერილში კლარა ვიკს მისწერა: ყველაზე შესანიშნავი მაინც ეს ლექსი იქნება, რაც კი ოდესმე თქვენზე დაიწერებაო.

უებრო კაცმა, ამა ქვეყნად ფუჭ ცხოვრებით მოყირჭებულმა,
თვის ჯადოქმნილი საგანძური განრისხებით ჩაკეტა უმალ
სალ კლდესავით მიუვალ და ანდამატივით უმაგრეს სკივრში,
გასაღები მოისროლა უძირო ზღვაში და აღესრულა.
ქონდრისკაცები ირჯებიან განუკითხავად,
მაგრამ ამაოდ! ვერაფერი მოარგეს საკეტს!
და ჯადოქრებსა ზანდუკებში სძინავთ, ვით ოსტატს.
აღევებული ზღვის ნაპირას მოთამაშე ასული ერთი
გაკვირვებული აკვირდება გამალებულ მათ ნადირობას.
დაუფიქრებლად, ვით ქალიშვილთ სჩვევიათ ხოლმე,
თეთრ თითებს ჩაყოფს აქაფებულ ტალღებში ზღვისა
და უცაბედად ხელთ ჩაიგდებს იმ გასაღებს გახარებული!
აღელვებული წამოხტება, ბაგაბუგი გააქვს გულს მისას,
თვალებანთებულს და სხივოსანს სკივრიც თითქოს მისჩერებოდეს.
გასაღები მოერგო უცებ და სახურავიც აეხადა.
ჯადო სულები ამოიჭრნენ და მორჩილად თავი დახარეს.
ულამაზესმა და უმანკო ზეიადმა ქალმა მომხიბლავი,
თეთრი თითებით, მთვლემარე სულნი ჯადოქრულად აათამაშა.

გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა

უცხოეთის კულტურული ცხოვრება

# ჩეხოვი — ერთი მსახიობის თეატრში

სცენაზე გამოდის გრძელ, შავ სერთუკში გამოწყობილი კაცი, აუჩქარებლად ისწორებს პენსნეს და იწყებს დინჯ საუბარს. სპექტაკლის ჩანაფიქრით, ეს საუბარი უნდა ხდებოდეს ჩეხოვის სახლის წინ მინდორზე, იალტაში, სადაც 1900 წელს ჩავიდა მოსკოვის სამხატვრო თეატრი კ. სტანისლავსკის მეთაურობით.

ასე იწყება ერთი მსახიობის თეატრის წარმოდგენა. ამერიკელი მსახიობი ვილიამ შუსტი, ჩეხოვის როლის შემსრულებელი, მაყურებლებს მიმართავს ისე, თითქოს სამხატვრო თეატრის მსახიობებს ესაუბრება.

ედინბურგის ყოველწლიურ საერთაშორისო ფესტივალზე ვილიამ შუსტს პირველი ჯილდო მიენიჭა მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

როდესაც მსახიობს ჰკითხეს, გასაგებია თუ არა ჩეხოვის იუმორი ინგლისელებისა და ამერიკელებისათვისო, მან უპასუხა:

— დიდ დრამატურგებს, მათ შორის ჩეხოვსაც, აერთიანებთ ის, რომ მათი ნაწარმოებები ახლობელი და გასაგებია ყოველი ადამიანისათვის, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს იგი. ჩემი აზრით, თარგმანში ჩეხოვის ნაწარმოებები მეტისმეტად ტრაგიკული და პათეტიკურიც კი გამოდის. ამიტომ ბევრ ქვეყანაში ისეთი წარმოდგენა შეექმნათ, თითქოს ჩეხოვი ძალზე სევდიანი და მწუხარე ადამიანია, თუმცა ჩვენ ვიცნობთ მას აგრეთვე, როგორც მხიარულ, უსაზღვროდ ენამოსწრებულ ადამიანს. სხვათა შორის, ესეც გახლავთ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მე უბრალოდ კი არ ვკითხულობ, არამედ ვთამაშობ ჩეხოვს. მაყურებლებს ასე უკეთ ესმით მწერლის იუმორი და ჰუმანიზმი, და დარბაზში რეაქციაც ძალზე ცოცხალია.

ვილიამ შუსტი ჩეხოვს მარტო ბროდვეიზე და სხვადასხვა ქვეყნის თეატრებში კი არ თამაშობს, — იგი ხშირად გამოდის აგრეთვე სკოლებში, კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. ამას იმიტომ ჩავდივარო, თქვა ვ. შუსტმა, რომ ძალიან მიყვარს ჩეხოვის ჰუმანიზმით აღსავსე ნაწარმოებები, ხოლო ბევრ ახალგაზრდას კი წარმოდგენაც არა აქვს ჩეხოვზე; მის მშვენიერ პიესებსა და პატარ-პატარა მოთხრობებს არ იცნობსო. ვ. შუსტი ბევრ წერილს ღებულობს მასწავლებლებისა და სტუდენტებისაგან, რომლებიც მისი სპექტაკლების მერე გატაცებით კითხულობენ ჩეხოვს.


გამოდის პარასკეობით

ფასი 10 კაპ.

ლიტერატურული საქართველო,

რედაქციის მისამართი,

380004, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 7.

ტელეფონები:
რედაქტორის — 99-84-64, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — 99-67-10.

მთავარი რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია: თ. ბეჟიაშვილი, თ. ბიბილური (პასუხისმგებელი მდივანი), წ. გურაბანიძე, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, რ. ინანიშვილი, ა. კალანდაძე, ჯ. ღვინჯილია, ო. ჩხეიძე, ს. ცაიშვილი, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. უე 10400